# შიშისგან დაცული ძალადობისაგან დაცული

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

## სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის

## ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია)

საპარლამენტო ქსელი - «ძალადობისაგან თავისუფალი ქალები»

Parliamentary Assembly
Assemblée parlementaire

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

(სტამბულის კონვენცია)

დოკუმენტი მომზადებულია ექსპერტ-კონსულტანტის, ჰილარი ფიშერის, მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და არა-დისკრიმინაციის კომიტეტის სამდივნოსთან თანამშრომლობით

გარეკანის დიზაინი და იერი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების გამომცემი დეპარტამენტი, ევროპის საბჭო

თანასწორობისა და არა-დისკრიმინაციის კომიტეტის სამდივნო

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

F-67075 Strasbourg Cedex
Tel : +33 (0)3 90 21 47 78
Fax : +33 (0)3 90 21 56 49
http ://assembly.coe.int

© ევროპის საბჭო, რედაქტირებული ვერსია, 2015
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

# შინაარსი:

ევროპის საბჭოს შესახებ

საპარლამენტო ასამბლეისა და საპარლამენტო ქსელის - “ძალადობისაგან თავისუფალი ქალების“ - შესახებ

საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის წინასიტყვაობა

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენერალური მომხსენებლის მიმართვა

პარლამენტარების როლი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის მხარდაჭერის საქმეში

პარლამენტარების როლი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის მხარდაჭერის საქმეში

რატომ კონვენცია

რას მოიცავს კონვენცია

ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება

პრევენცია

დაცვა და მხარდაჭერა

მატერიალური სამართალი

გამოძიება, სამართლებრივი დევნა, პროცესუალური კანონმდებლობა და დამცავი ზომები

მონიტორინგის მექანიზმი

ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან

დასკვნითი დებულებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილის ეპილოგი

დანართები

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (CETS No. 210)

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციებისა და რეკომენდაციების სია (2000-2012)

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საქმეების ჩამონათვალი

სხვა რელევანტური საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და სტანდარტების ჩამონათვალი

## ევროპის საბჭოს შესახებ

ევროპის საბჭოში 47 წევრი ქვეყანაა, რაც ფაქტიურად მთელს ევროპას მოიცავს. ევროპის საბჭო ცდილობს შეიმუშაოს ერთიანი დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა სახელმძღვანელო ტექსტების საფუძველზე, რომლებიც შეეხება ინდივიდთა დაცვას, მათ შორის ქალთა და გოგონათა დაცვას. 1990 -იანი წლებიდან დაწყებული, ევროპის საბჭო აქტიურად უჭერდა მხარს ქალებისა და გოგონების დაცვას გენდერული ძალდობისაგან, კონკრეტულად კი, მიიღო რეკომენდაცია (2002)5 ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ, ხოლო 2006-2008 წლებში წარმართა კამპანია მთელი ევროპის მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

www.coe.int/conventionviolence
conventionviolence@coe.int

# საპარლამენტო ასამბლეისა და "ძალადობისაგან თავისუფალი ქალების" საპარლამენტო ქსელის შესახებ




ის პარლამენტარები, რომლებიც სპარლამენტო ასამბლეას ქმნიან, ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის პარლამენტთა წევრები არიან. ისინი წელიწადში 4-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს, რათა განიხილონ საჭირბოროტო საკითხები და სთხოვონ ევროპული ქვეყნების მთავრობებს გარკვეული ინიციატივების განოხორციელება და ასამბლეისათვის ანგარიშების წარდგენა. ეს პარლამენტარები იმ 800 მილიონი ევროპელის სახელით საუბრობენ, რომელთაც ისინი აირჩიეს.

საპარლამენტო ქსელი „ძალადობისაგან თავისუფალი ქალები" პირველად „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის" კამპანიის (2006-2008) კონტექსტში შეიქმნა. ამ პერიოდის

განმავლობაში, მთელს ევროპაში 40-მდე ქვეყნის პარლამენტმა 200-ზე მეტი აქტივობა განახორციელა, რომელიც მოიცავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის გაკიცხვას, პარლამენტარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, კანონმდებლობის შესწორებას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ბოროტების პრევენცია, მსხვერპლთა უკეთესად დაცვა და ძალადობის ჩამდენთა მიმართ ეფექტური სამართლებრივი დევნის განხორციელება.

2008 წელს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1635 (2008) ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რაც ევროპის საბჭოს კონვენციის მიღებით უნდა დაგვირგვინებულიყო. ამ რეზოლუციაში ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ კამპანიის დასასრული რა გამხდარიყო ქსელის არსებობის დასასრულიც. პირიქით, ინოვაციური და მძლავრი იარაღი ქსელს უნდა დაეხმაროს პარლამენტარებს შორის ინფორმაციის უკეთ გაცვლაში და ერთობლივ ქმედებათა კოორდინირებაში.

ქსელი შედგება საპარლამენტო ასამბლეის წევრი და დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოების საპარლამენტო დელეგაციების წევრებისაგან, აგრეთვე „პარტნიორები დემოკრატიისათვის" დელეგაციების წევრებისაგან. ქსელის თავმჯდომარეა გენერალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებს, როგორც ქსელის პოლიტიკური კოორდინატორი. მინისტრთა კომიტეტის მიერ სტამბულის კონვენციის მიღების შემდეგ , ქსელმა თავის უპირველეს მიზნად დაისახა სტამბულის კონვენციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2014 წლის 1 აგვისტოს, 10 ქვეყნის მიერ რატიფიცირების შემდეგ, სტამბულის კონვენცია ძალაში შევიდა. ქსელის გააგრძელებს მუშაობას, რათა ხელი შეუწყოს კონვენციის შემგომ რატიფიცირებას და უზრუნველყოს კონვენციის ეფექტური განხორციელება.

www.assembly.coe.int/stopviolence/
womenfreefromviolence@coe.int

# საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის წინასიტყვაობა



2015 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია).

კონვენცია ძლიერ სიგნალს უგზავნის ძალადობის მსხვერპლ მილიონობით ქალს, მთელს ევროპასა და მის საზღვრებს გარეთაც. კონვენციის ამოქმედება შედეგია იმ ძალისხმევისა, რომელიც უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში ევროპის საბჭომ, მათ შორის საპარლამენტო ასამბლეამ და სამოქალაქო საზოგადოებამ განახორციელეს. მათ ბევრი იმუშავეს ამ ინოვაციური ინსტრუმენტის ფართო პოპულარიზაციისათვის და ცნობიერების ამაღლებისათვის, რათა ადამიანებმა გაიაზრონ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ყველას საზრუნავია.

სტამბულის კონვენცია უდიდესი მნიშვნელობის ინსტრუმენტია მრავალი თვალსაზრისით. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევას და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ასეთი ძალადობისათვის ნულოვანი ტოლერანტობის არსებობას, რისთვისაც ახდენს ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას: ფიზიკური ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, იძულებითი ქორწინება, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და შევიწროება.

მე მინდა მივულოცო იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც უკვე მოახდინეს სტამბულის კონვენციის რატიფიცირება და მოვუწოდება ევროპის საბჭოს იმ წევრი ქვეყნების პარლამენტარებს, რომელთაც კონვენციაზე ჯერ ხელი არ მოუწერიათ ან რომელთაც მისი რატიფიცირება ჯერ არ გაუკეთებიათ, რომ მიმართონ თავიანთი ძალისხმევა სტამბულის კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების და განხორციელების უზრუნველყოფისაკენ.

გთხოვთ გამოიყენოთ ეს სახელმძღვანელო, როგორც პრაქტიკული საშუალება კონვენციის უფრო მკაფიოდ გაგებისათვის. გვაძლევს რა გასაღებს ამ უნიკალური ინსტრუმენტის უკეთ გააზრებისათვის, იგი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც გზამკვლევი კონვენციის შესრულების ხელშემწყობ აქტივობათა განსახორციელებლად. ამასთან, მინდა გთხოვოთ თვალყური ადევნოთ საპარლამენტო ქსელის - „ძალადობისაგან თავისუფალი ქალების" - მუშაობას, რომელიც სტრასბურგში რეგულარულ შეხვერებს ატარებს. 2006 წლიდან დაწყებული ამ ქსელის წევრები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტს ქმნიდნენ, თავიანთი ქვეყნების პარლამენტებსა და საზოგადოები საყურადღებად ახორციელებდნენ ცნობიერების ასამაღლებელ ქმედებებს. კონვენციის ძალაში შესვლა შეუძლებელი იქნებოდა მათი დაუღალავი შრომისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მიმართული იყო წევრი სახელმწიფოებისაკენ, რომ მათ კონვენციაზე ხელი მოეწერათ და მისი რატიფიცირება მოეხდინათ.

ახლახანს შეიქმნა მონიტორინგის კომიტეტი, GREVIO. ქვეყნების პარლამენტებს ვთხოვთ მონაწილეობა მიიღონ კონვენციის განხორციელებაზე მონიტორინგის პროცესში, რაც იქნება აღიარება იმ უმთავრესი როლისა, რომელსაც ისინი თამაშობენ კონვენციის განხორციელების საქმეში. გარდა ამისა, საპარლამენტო ასამბლეაც დიდ როლს შეასრულებს მონიტორინგის პროცესში და შეასრულებს მის მიერ აღებულ ვალებულებას და შემფასებლის უპრეცენდენტო ფუნქციას, რაც კონვენციითაა განსაზღვრული.

სტამბულის კონვენციის ძალაში შესვლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. იგი ყველა ჩვენგანს გვანახებს, რომ ძალადობის გარეშე მომავალი უკვე რეალობა ხდება

და რაც შეიძლება სწრაფად, რადგანაც ქალი მსხვერპლნი უკვე ზედმეტად დიდხანს გველოდნენ.

***ანა ბრასეური***
*ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე*

# ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მთავარი მომხსენებლის მიმართვა



ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, ევროპაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთერთ ყველაზე უფრო სერიოზულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული სერიოზული დანაშაული. და მიუხეავად ამისა, სოციუმის ზეწოლა იმდენად ძლიერია, რომ ბევრი მსხვერპლი მას აღიქვას, როგორც ცხოვრებისეულ გარდაუვალ ფაქტს და თავს იკავებს მის შესახებ შეტყობინებისაგან. მათ კი ვისაც საკმარისი სიმამაცე გააჩნია, რომ ხელისუფლებას დახმარების თხოვნით მიმართოს, ხანდახან უკან აბრუნებენ ა სერიოზულად არ აღიქვამენ. ბევრი კი დაცვასა და სამართალს ვერ პოულობს იმის გამო, რომ მათი ქვეყნების კანონმდებლობასა და პოლიტიკაში სამართლებრივი ვაკუუმი და სისუსტეები არსებობს.

მე მეამაყება, რომ ევროპის საბჭო ერთგული რჩება თავისი როლისა და მანდატისა და რომ მან ძალადობისათვის იმ საფარველის ჩამოხსნით, რომელიც ხშირად ნიღბავს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებს, კიდევ ერთხელ შეასრულა ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი მეთვალყურის როლი.

მე მეამაყება, რომ მან (ევროპის საბჭომ) სისტემატურად და თანამიმდევრულად იმუშავა საპარლამენტო ასამბლეის მოთხოვნის შესასრულებლად, რადგანაც ევროპაში უნდა იყოს იურიდიულად

სავალდებულოდ შესასრულებელი ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც დაცვის, პრევენციისა და სამართლებრივი დევნისათვის მაქსიმალურად მაღალ სტანდარტს დააწესებს გენდერის საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველაზე მძიმე და გავრცელებული შემთხვევებისათვის.

მე მეამაყება, რომ ერთობლივი ძალისხმევის 3 წლის თავზე, ეს ინსტრუმენტი, ახლა კარგად ცნობილი სტამბულის კონვენცია, საბოლოოდ შევიდა ძალაში.

ჩვენი წევრი სახელმწიფოებისაგან ბევრმა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა საკმაოდ ხანგრძლივი და თანამიმდევრული პროცესის გავლის შედეგად, რომელიც ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას დასჭირდა. სხვები ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისში არიან და მათ მიერ კონვენციის რატიფიცირება აჩვენებს ცალსახა პოლიტიკურ ნებას იმისა, რომ შესრულდეს კონვენციის მოთხოვნები. ევროპის საბჭო გააგრძელებს ამ პროცესის მხარდაჭერას.

ეს საკმაოდ ხანგრძლივი გზა იყო, მაგრამ კარგი მუშაობა უნდა გაგრძელდეს:

GREVIO-ს საშუალებით, რომელიც დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შემდგარ ორგანოს წარმოადგენს და მხარეთა კომიტეტის საშუალებით, რომელიც კონვენციის ხელმომწერი მხაარეების ოფიციალური წარმომადგენლებისაგან შემდგარი პოლიტიკური ორგაანოა. ეს ორი ორგანო წარმოადგენს მონიტორინგის მექანიზმის ორ მთავარ საყრდენს;

საპარლამენტო ასამბლეისა და ქვეყნების პარლამენტების საშუალებით, რომელთაც, კონვენციის მიხედვით, ძლიერი მონიტორინგის როლი ეკისრებათ;

და ბოლოს, „ძალადობისაგან თავისუფალ ქალთა“ საპარლამენტო ქსელის საშუალებით, რომლის მუშაობამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა კონვენციისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის გასაძლიერებლად და ჩვენი პარლამენტარების მხრიდან ლობირების,

ზეწოლისა და ქსელების შექმნის გარეშე ვერ მივაღწევდით ჩვენთვის აგრერიგ ძვირფასი ოქროს სტანდარტის ამოქმედებას.

ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, რათა სტამბულის კონვენცია არ დარჩეს მხოლოდ სიტყვებად, არამედ ხელშესახებ და ქმედით აქტივობებად გარდაიქმნეს.

ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ,რათა აღმოვფხვრათ ეს ბოროტება და საშუალება მივცეთ ყველა ქალს იცხოვროს შიშის გარეშე ძალადობისაგან დაცულ გარემოში.

*საჰიბა გაფაროვა*
*ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენერალური მომხსენებელი*
*საპარლამენტო ქსელის - "ძალადობისაგან თავისუფალი ქალები"*
*- პოლიტიკური კოორდინატორი*

# პარლამენტარების როლი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის მხარდაჭერის საქმეში

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის მხარდაჭერის საქმეში პარლამენტარებს კრიტიკული როლი ეკისრებათ.

როგორც კანონმდებლებსა და პოლიტიკის შემქმნელებს მათ შეუძლიათ წინ წასწიონ ის პროცესი, რომელიც ქვეყანას კონვენციის ხელმოწერასა და რატიფიცირებამდე მიიყვანს. გარდა ამისა, ისინი პირდაპირ იქნებიან ჩართულნი კონვენციის რატიფიცირებაში. პარლამენტართა მიერ განსახორციელებელ აქტივობათა არასრული სია შემდეგნაირად გამოიყურება:

- მთავრობისათვის კითხვების დასმა მთავრობის მიერ კონვენციის მხარდაჭერასთან დაკავშირებით;
- მთავრობისაგან ინფორმაციის მოთხოვნა იმის შესახებ თუ რა სტადიაშია კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირების პროცესი;
- ნაციონალურ დონეზე, განსაკუთრებით კი პარლამენტის შიგნით, დებატების ორგანიზება კონვენციის გარშემო;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პარლამენტის დოკუმენტაციის ცენტრში ხელმისაწვომი იყოს კონვენციასთან მიმართებაში საჭირო ყველა რელევანტური დოკუმენტი;

- იმ ინიციატივებით გამოსვლა და მხარდაჭერა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას კონვენციის გარშემო ცნობიერებას აუმაღლებს;
- კონვენციის მხარდასაჭერად საზოგადოებრივი პეტიციის ინიცირება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ კონვენცია სახელმწიფო ენებზე ითარგმნოს;
- აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა სახის ზომების მიღება და გატარება კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

სტამბულის კონვენციის გარეშეც, პარლამენტარებს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საქმეში, კონკრეტულად კი შემდეგით:

- ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში კანონმდებლობის ინიცირება იმგვარად, რომ კანონი აკმაყოფილებეს უმაღლეს შესაძლო საერთაშორისო სტანდარტს;
- მოთხოვნა იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემები სისტემატურად შეგროვდეს ნაციონალურ დონეზე;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის საკმარისი რესურსები გამოიყოს;

და ბოლოს, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემქნელთ, პარლამენტარებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მენტალიტეტის ევოლუციაზე. ამისათვის მათ:

- უნდა გამოხატონ ძლიერი საზოგადოებრივი პოზიცია და გაკიცხონ და არ მიიღონ ქალთამიმართ ძალადობა და ეს პოზიცია გამოხატული უნდა იქნას მედიაშიც;
- ლობირება მოახდინონ თავიანთ პოლიტიკურ პარტიებში, რათა ქალთა მიმართ ძალადობს აღმოფხვრა ამ პარტიებმა თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებში შეიტანონ;

- თითოეულ საჯარო გამოსვლაში ისაუბრონ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ;
- ორგანიზება გაუკეთონ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ აქტივობებს, ჩართონ ამ საქმეში ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენენ, მათ შორის ჟურნალისტები, მწერლები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები;

# ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (CETS No. 210, „სტამბულის კონვენცია“)

## *რატომ კონვენცია*

### *ფაქტები და ციფრები*

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველდღიურად ძალადობას განიცდის. ხშირად ქალები და გოგონები განიცდიან ძალადობის სერიოზულ ფორმებს, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება და სასქესო ორგანოების დასახიჩრება. გარდა ამისა, ძალადობას შეიძლება ქონდეს ფსიქოლოგიური ხასიათი და შედგებოდეს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, კრიტიკისაგან, იზოლაციისაგან, მუქარისაგან, შევიწროებისა და აკვიატებულ დევნისაგან. ის, რომ ასეთი ძალადობა ფიზიკური ხასიათის არ გახლავთ სულაც არ ნიშნავს იმას რომ იგი ნაკლები ზიანის მომტანი და ნაკლებად სასტიკია. ასეთი ძალადობის ჩამდენნი საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლები არიან. იტანჯებიან არა მხოლოდ ამ ძალადობის უშუალო მსხვერპლნი, არამედ ის ბავშვებიც, რომლებიც ძალადობის მოწმეები ხდებიან.

ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება ყველა ასაკისა და სოციალური წარმომავლობის ქალის წინააღმდეგ, მაგრამ გარკვეული ჯგუფები ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან. ძალადობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები იმ ნიადაგში, რომელსაც საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობა ქვია და ძალადობას ადგილი აქვს შეუწყნარებლობისა და მიუღებლობის კულტურულ გარემოში. ძალაუფლების დისბალანსი იწვევს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და განსხვავებულ მიდგომებს, რაც ქალებს ძალადობრივი სიტუაციიდან თავის დაღწევას ურთულებს. ძალადობა, რომელსაც ქალები განიცდიან, ყოველთვის სერიოზულად არ აღიქმება საზოგადოების თუ ხელისუფლების ორგანოების მიერ, რაც კიდევ უფრო დაუცველს ხდის ამ ქალებს ძალადობის შემდგომი გამოვლინების თუ მკვლელობის წინაშეც კი.

სამწუხაროდ, ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად პირადი ცხოვრების ნაწილად ითვლება და ბევრ ქალს არა სურს ამის შესახებ განცხადების გაკეთება ან მათი ოჯახი თუ საზოგადოება უკან ახევინებს მათ ძალადობის ფაქტის გამჟღავნებისაგან. არ-გაცხადებულ ძალადობის ფაქქტებს კიდევ უფრო ამძიმებს არაადეკვატური გამოძიება, სამართლებრივი დევნა და სასჯელის შეფარდება. ძალიან ბევრი საქმე სასამართლომდე არც კი მიდის, ან თუ მიდსი, ძალადობის ჩამდენნი მინიმალურ სასჯელს იღებენ. მსხვერპლის მიმართ გამოძიების ან სასამართლო პროცესის განმავლობაში არასენსიტიური დამოკიდებულება ხშრად მსხვერპს ხელახა აქცევს ძალადობის მსხვერპლად. ამის გამო ქალები ნაკლებად ბედავენ ძალადობის შესახებ გაცხადებას, მით უმეტეს, რომ ადეკვატური დაცვის არარსებობის პირობებში, ძალადობის ფაქტის შესახებ გაცხადება ზრდის ხელახალი ძალადობის რისკს.

ოჯახში ძალადობა ძალიან ღრმა ტრავმის მიმყენებელი ძალადობრივი ქმედებაა. მსხვერპლთა უდიდესი უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან. კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს ურთიერთკავშირი ბავშთა ფიზიკურ დასჯასა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობას შორის, არ ჩატარებულა საკმარისი და სანდო კვლევები ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების შესასწავლად, როგორებიცაა ხანდაზმულთა მიმართ ან მამაკაცთა მიმართ ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი

მამაკაცი შეიძლება მართლაც იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ასეთი შემთხვევები ბევრად უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ქალთა მიმართ ძალადობა და მამაკაცის წინააღმდეგ ძალადობა შეიძლება მათ მიერვე ჩადენილი ძალადობის საპასუხოდ იქნას ჩადენილი. ძალადობის ჩამდენთა უმეტესობა მამაკაცია.

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საფასური ძალიან მაღალია. იგი ევროპის საბჭოს წევრ ერთ ქვეყანაზა დაახლოებით 34 მილიარ ევროდ არის შეფასებული, რაც ერთ სულ მოსახლეზე 555 ევროს უდრის.[1]

*პროცესი კონვენციის მიღებამდე*

1190-იანებიდან დაწყებული, ევროპის საბჭომ უფრო ინტენსიური გახადა თავისი აქტივობა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეს აქტივობა დაგვირგვირდა 2002 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ რეკომენდაცია (2002)5-ის მიღებით. ეს გახლავთ წევრი ქვეყნებისათვის გაცემული რეკომენდაცია ქალების ძალადობისაგან დაცვის შესახებ.[2]

2005 წელს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მესამე სამიტის დასასრულს, მიღებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მთელს ევროპაში უნდა წარმართულიყო ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია მთელი ევროპის მასშტაბით.[3] ამის შემდგომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა ამ კამპანიისათვის, შეეფასებინა წევი სახელმწიფოების მიერ გაკეთებული პროგრესი და დაეგეგმა სამომავლო ქმედებები. 2006-დან 2008 წლამდე პერიოდში, ევროპის საბჭოს ეს კამპანია ერთდროულად ხორციელდებოდა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების, პარლამენტების და ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ.

სამუშო ჯგუფის მიერ სხვადასხვა ქვეყნების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შეფასებისშემდეგ გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ

1. www.coe.int/t/dg2/equality/DOMESTICVIOLENCECAMPAIGN/FAQ_en.asp#P59_4532
2. https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=280915
3. www.coe.int/t/dcr/summit/20050517_plan_action_en.asp

ბევრია გასაკეთებელი: მიუხედავად პროგრესისა, აშკარაა, რომ ხშირად არ ხდება არსებული კანონმდებლობის აღასრულება, მსხვერპლთათვის სერვისები არასაკმარისი და მწირია და წევრი სახელმწიფოების მიერ დანერგილი დაცვის სიძლიერე ძალიან უთანაბროა სახელმწიფოებს შორის. 2008 წლის საბოლოო აქტივობის ანგარიშში სამუშაო ჯგუფმა ევროპის საბჭოს შესთავაზა რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს თანამიმდევრული, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი, ადამიანი უფლებათა დამცველი ინსტრუმენტი, რომელიც პრევენციას გაუკეთებს და შეებრძოლება ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერ ფორმას.[4]

ამ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, 2008 წლის დეკემბერში მინისტრთა კომიტეტმა შექმნა მულტი-დისციპლინარული საგანგებო კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის (CAHVIO) და დაავალა ამ კომიტეტს მოემზადებიან ერთი ან მეტი იურიდიულად სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროებში. ამ ინსტრუმენტს აქცენტი უნდა გაეკეთებინა ისეთი ზომების დანერგვაზე, რომელიც დაიცავდა და დაეხმარებოდა ამგვარი ძალადობის მსხვერპლთ და დაიწყებდა სამართლებრივ დევნას ძალადობის ჩამდენთა წინააღმდეგ.

საგანგებო კომიტეტის - CAHVIO-ს - პირველ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდ ერთი ისეთი კონვენციის მიღება, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმისა და ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და ასეთ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა. CAHVIO-მ, მთავრობათა წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით წარმართული 9 შეხვედრის შედეგად კონვენციის ტექსტის პროექტი მოამზადა.

საპარლამენტო ასამბლეა აქტიურად მონაწილეობდა მოლაპარაკებების პროცესში მაშინ არსებული ქალთა და მამაკაცთათვის თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის თავმჯდომარის საშუალებით. ტექსტი

4. www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/Final_Activity_Report.pdf

პროექტზე მუშაობა დასრულდა 2010 წლის დეკემბერში და იგი მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა 2011 წლის 7 აპრილს. კონვენცია ხელმოსაწერად შეთავაზებული იქნა სტამბულში, 2011 წლის 11 მაისის მინისტრთა კონფერენციაზე. ის ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

*კონვენციის დამატებითი ღირებულება*

სტამბულის კონვენცია უმნიშვნელოვანეს ცვლილებებზე ორიენტირებული ინსტრუმენტია. ეს არის პირველი საერთაშორისო, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანას, და რომელიც გვთავაზობს ღონისძიებათა თანამიმდევრულ კომპლექსს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. კონცენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს როგორც ადამიანის უფლების დარღვევად, აგრეთვე დისკრიმინაციის ფორმად. გარდა ამისა, კონცენცია ერთმანეთთან აკავშირებს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევას ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრასთან. კონვენციაში კრიმინალიზირებულია ისეთი სპეციფიკური დარღვევები, როგორებიცაა დევნა, იძულებითი ქორწინება, ქალტა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

გარდა ამისა, კონვენციაში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის განხორციელებაც აუცილებელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონვენცია მოუწოდებს ყველა შესაბამის უწყებას, სამსახურს და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ ყველამ ერთად და კოორდინირებულად იმუშაოს. კონვენცია აწესებს ძლიერ და დამოუკიდებელ მონიტორინგის მექანიზმს და პარლამენტარებს კონკრეტულ როლს აკისრებს, რაც ქვეყნის დონეზე კონვენციის განხორციელებაზე მონიტორინგის წარმოებაში მდგომარეობს.

*სახელმძღვანელოს მიზნები*

პარლამენტარებს შეუძლიათ უმთავრესი როლი ითაამაშონ ქვეყნის დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების

მიმართულებით. იმავდროულად, მათ პირდაპირი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საკანონმდებლო ბაზაზე, რადგანაც მათ შეუძლიათ პარლამენტს დასამტკიცებლად შესთავაზონ და მიიღონ კონკრეტული კანონები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და მონიტორინგი აწარმოონ ამ კანონების ეფექტურ განხორციელებაზე.

ეს სახელმძვანელო წარმოადგენს იარაღს, რომელიც ეხმარება პარლამენტარებს, რომ მათ სწორად გაიაზრონ სტამბულის კონვენცია და ხელი შეუწყონ მის პოპულარიზაციას. სახელმძღვანელოში განმარტებულია კონვენციის ძირითადი დებულებები და მოყვანილია მაგალითები იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელია ამ დებულებების ასახვა ქვეყნის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

სახწლმძღვანელო იძლევა ქვეყნების შიდა კანონმდებლობებისა და იმ ღონისძიებათა მაგალითებს, რომლებიც ევროპის საბჭოს ქვეყნის წევრმა სახელმწიფოებმა დანერგეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელმძღვანელოში მოყვანილია მაგალითები იმ კანონებისა და ღონისძიებებისა, რომელთა მიღებაც შეუძლიათ ქვეყნებს. ეს მაგალითები არ წარმოადგენს ამომწურავ სიას ყველა იმ საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ ზომებისა, რომლებიც წევრმა სახელმწოფოებმა მიიღეს ან გაატარეს.

# რას მოიცავს კონვენცია

## *კონვენციის I თავი*

### *მიზნები*

კონვენცია მხარეებს აწვდის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო თანამიმდევრულ საკანომდებლო ჩარჩოს, პოლიტიკასა და ღონისძიებებს, რომლებიც საუკეთესო პრაქტიკას ეფუძვნებიან. კონვენციის ძირითადი მიზნები შემდეგნაირია:

- დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

ძალადობის პრევენცია, აწარმოოს სამართლებრივი დევნა და აღმოფხვრას ეს მოვლენა.

- წვლილი შეიტანოს ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრაში, ხელი შეუწყოს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობას და ძალაუფლებით აღჭურვოს ქალები;
- დაიცვას და დაეხმაროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს;
- ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ;
- დაეხმაროს ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებს ერთმანეთთან თანამშრომლობაში, რათა დაინერგოს ინტეგრირებული მიდგომა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად;

*კონვენციის მოქმედების არეალი*

კონვენცია ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმაზე, მათ შორის ოჯახურ ძალადობაზე.

უფრო მეტიც, კონვენცია მიესალმება ხელმომწერ მხარეებს თუ ისინი კონვენციის მოქმადების არეალს ისე გააფართოვებენ, რომ მოიცავენ იმ მამაკაცებს, ბავშვებსა და ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

კონვენცია ძალაშია და მოქმედებს როგორც მშვიდობიან დროს, ასევე შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას.

*განსაზღვრებები*

ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება ეფუძვნება მინისტრთა კომიტეტის (2002)5 რეკომენდაციაში მოცემულ განსაზღვრებას, CEDAW-ს ზოგად რეკომენდაციას 19[5]-ს და ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს დეკლარაციის პირველ მუხლს.[6]

---

5. www.un.org/womenwatch/daw/CEDAW/recommendations/recomm.htm
6. A/RES/48/104, 20 December 1993.

- ***ქალთა მიმართ ძალადობა*** განმარტებულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა და მოიცავს გენდერის საფუძველზე ჩადენილ ძალადობის ყველა აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვება, ან მოსალოდნელია რომ მოჰყვეს ქალისათვის ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან განსაცდელის მიყენება, და მოიცავს მათ ისეთი ქმედებებით მუქარას, როგორებიცაა იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, მიუხედავად იმისა მოხდება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;

- ***ოჯახში ძალადობა*** აგრეთვე მიეკუთვნება იმავე ტიპის ძალადობათა კატეგორიას, რომლებიც ზევით არის ჩამოთვლილი, მაგრამ ოჯახში ძალადობა ოჯახის, შინამეურნეობის, ამჟამად ან წარსულში დაქორწინებულ ან დაუქორწინებელი პარტნიორებს შორის მიუხედავად იმისა ძალადობის ჩამდენს ოდესმე თუ უცხოვრია ან ამჟამად ცხოვრობს თუ არა მსხვერპლთან. ოჯახში ძალადობა მოიცავს ორივე სქესის მოძალადეებსა და მსხვერპლთდა მოიცავს ბავშვებსა და ხანდაზმულებს, აგრეთვე ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან.

- ***გენდერი*** არის ის როლი, რომელსაც საზოგადოება აკისრებს მამაკაცებსა და ქალებს, აგრეთვე ის ქცევები, საქმიანობა და ნიშან-თვისებები, რომლებიც ქალისა და მამაკაცისათვის მიზანშეწონილად და სწორად ითვლება.

- ***გენდერზე დაფუძნებული ძალადობა ქალთა მიმართ*** გახლავთ ისეთი ძალადობა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია (როგორიცაა იძულებითი აბორტი, ქალის გენიტალიების დასახიჩრება) ან ისეთი ძალადობა, რომელსაც ქალი ბევრად უფრო ხშირად განიცდის, ვიდრე მამაკაცი (როგორებიცაა სქესობრივი ძალადობა, გაუპატიურება, დევნა,

სქესობრივი შევიწროება, ოჯახში ძალადობა, იძულებითი ქორწინება და იძულებითი სტერილიზაცია);

- ***მსხვერპლი*** არის როგორც ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი;
- ***ქალი*** მოიცავს 18 წლის ასაკამდე გოგონებს

*ძალადობისაგან თავისუფლება, თანასწორობა და არა-დისკრიმინაცია*

კონვენცია იცავს ყველას უფლებას იცხოვროს ძალადობისაგან თავისუფლად და კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რაც თავისთავად ქალის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას წარმოადგენს რაიმე მიზნისა და დასაბუთებული გამართლების გარეშე. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საქმეში ცენტრალური მნიშვნელობისაა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფა, როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში. კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებს მოეთხოვებათ შემდეგი:

- ასახონ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციაში ან კანონში;
- აკრძალონ დისკრიმინაცია და ამ აკრძალვამ მოიცვას სპეციალური სანქციების / სასჯელის დაწესება დამრღვევლა წინააღმდეგ;;
- გააუქმონ ის კანონები და აღმოფხვრან ისეთი პრაქტიკა, რომელიც დისკრიმინაციულია ქალის მიმართ;

დისკრიმინაციის საფუძვლების სია, რომელიც კონვენციაშია მოცემული (მუხლი 4) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მის მე-12 პროტოკოლს ეფუძნება. ეს არასრული სიაა და მოიცავს გენდერს, სქესობრივ ორიენტაციას, გენდერული იდენტობას, ასაკს, ჯანრთელობის მდგომარეობას, შეზღუდულ შესაძლებლობებს, ოჯახურ მგომარეობას და მიგრანტის ან ლტოლვილის ან რაიმე სხვა სტატუსს, რომელიც ამ კონვენციის რელევანტურია. იმის აღნიშვნა, რომ ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისა და

ქალების დაცვისათვის განსაკუთრებული ზომების გატარებაა საჭირო კონვენციის მიხევით ქალთა დისკრიმინაციას არ ნიშნავს.

# ინტეგრირებული სტრატეგიები და მონაცემთა შეგროვება

## *კონვენციის მე-2 თავი*

### *თანამიმდევრული და კოორდინირებული პოლიტიკა*

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა კომპლექსურ მოვლენას წარმოადგენს, რაც სხვადასხვა უწყებებისა და მოქმედი პირების მხრიდან ღონისძიებათა საკმაოდ ფართო სპექტრის გატარებას მოითხოვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ბრძოლაში წარმატებული შედეგის დადება პირდაპირ არის დაკავშირებელი სხვადასხვა მოქმედ პირებს შორის, როგორებიცაა პოლიცია, სოციალური სამსახურები, ჯანდაცვა, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, ბავშვთა დაცვის სააგენტოები და სხვა რელევანტური პარტნიორები, მჭიდრო და კოორდინირებულ თანამშრომლობაზე. სწორედ ამიტომ, კონვენცია მოითხოვს შემდეგს:

- განხორციელდეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები და შემუშავებული იქნას იმგვარი პოლიტიკა, რომლებიც კოორდინირებულად შეეხება ყველა სექტორს;
- ღონისძიებათა ცენტრში მოექცეს მსხვერპლის უფლებები;
- ყველა რელევანტური მოქმედი პირი, მათ შორის სამთავრობო უწყებები, არასამთავრობოები და ნაციონალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სათანადოდ აცნობიერებდნენ პარლამენტარების მნიშვნელოვან როლს და კანონის მიღებასთან მიმართებაში მინიჭებულ განსხვავებულ უფლებამოსილებებს ფედერალური სისტემის მქონე ქვეყნებში.

ამგვარი თანამშრომლობა შემთხვევითობის იმედად არ შეიძლება დავტოვოთ. იგი მოითხოვს ისეთ პროტოკოლებსა და ტრეინინგს, რომლეიც საჭიროა ერთიანი გაგებისა და მიდგომის შესამუშავებლად. ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია თითოეული

უწყების როლი და შეტანილია არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაც, წარმოადგენს კარგ მაგალითს იმისა, თუ როგორ მიიღწევა თანამშრომლობა და კოორდინაცია.

გაერთიანებულ სამეფოში ტარდება მრავალ-უწყებრივი რისკის შეფასების კონფერენციები, რაც შესაბამის ადგილობრივ უწყებებს შესაძლებლობას აძლევს რეგულარულად შეხვდნენ ერთმანეთს და გაცვალონ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ მყოფ მსხვერპლთა შესახებ (ეს ის ადამიანებია, რომლებიც მკვლელობის და სერიოზული ზიანის მიღების რისკის წინაშე დგანან). ამ კონფერენციაზე ყველა უწყების თავმოყრის შედეგად შესაძლებელი ხდება მსხვერპლის დახმარებაზე ორიენტირებული რისკებზე აქცენტირებული უსაფრთხოების კოორდინირებული გეგმა. მთელს ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში დაახლოებით 250 ამგვარი კონფერენცია მუშაობს და წელიწადში 53 ათას საქმეს განიხილავს (უფრო მეტი ინფორმაციისათვის ეწყვიეთ შემდეგ ინტერნეტ გვერდს: www.caada.org.uk). ავსტრიასა და გერმანიაში შეიქმნა ოჯახში და სქესობრივი ძალადობისას ინტერვენციის ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ ყველა რელევანტური უწყების რეაგირების კოორდინირებას (თავშესაფრები, სამართალდამცავი ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო, მოწმეთა დაცვა და ბავშვთა დაცვა) ოჯახში თუ სქესობრივი ძალადობის თითოეულ შემთხვევაში (ვენის ინტერვენციის ცენტრის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად იხილეთ see www.interventionsstelle-wien.at ან ბერლინის ინტერვენციის ცენტრის შესახებ ინფორმაციისათვის ეწვიეთ შემდეგ გვერდს: www.big-berlin.info).

## *არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება*

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება გადამწყვეტ როლს თამაშობენ ძალადობის პრევენციისა და ძალადობის

წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. არასამთავრობო ორგანიზაციები ბევრ სხვადასხვა მომსახურებას უწევენ ძალადობის მსხვერპლთ და ამაღლებენ საზოგადოების ცნობიერებას საჭირო ცვლილებებისათვის, მაგრამ ისინი გარკვეულწილად შებოჭილნი არიან არასაკმარისი და არასტაბილური დაფინანსების გამო. კონვენცია მიზნად ისახავს, რომ ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის უფრო დიდი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა გახდეს ხელმისაწვდომი. კონვენციის ხელმომწერ მხარეებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ და გაამხნევონ არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა მათ სამუშაოს მაქსიმალურად ეფექტურად წარმართვის საშუალება მიეცეთ, რათა ამოქმედდეს თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და მათ ადეკვატური დაფინანსება მიიღონ.

*მონაცემთა შეგროვება და კვლევა*

მონაცემთა შეგროვებას არსებითი როლი ეკისრება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის არსისა და მასშტაბის გააზრებაში. სანდო მონაცემების არსებობა აუცილებელია მტკიცებულებების საფუძველზე ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ სწორი პოლიტიკის შესამუშავებლად და პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად. კონვენცია მხარეებისაგან მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით მონაცემთა შეგროვებას, მაგალითად, ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სასამართლო სექტორის მიერ. წარმოდგენილ ანგარიშებში მითითებული უნდა იყოს მსხვერპლისა და ძალადობის ჩამდენის კონკრეტული მახასიათებლები, როგორებიცაა სქესი, ასაკი და ძალადობის ტიპი, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ურთიერთობის ფორმა და სად მოხდა დანაშაული. კონვენციაზე ხელმომწერ მხარეებს მოეთხოვებათ, რომ დაეხმარონ მიმდინარე კვლევას ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ. გარდა ამისა, მხარეებს მოუწოდებენ მოსახლეობის კვლევის ჩატარებისაკენ, რათა დადგინდეს ამ მოვლენის ჩადენის მასშტაბები და სიხშირე. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე ექსპერტთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც კონვენციის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს.

ესპანეთში, 2003 წელს მიღებულ გენდერული ძალადობის შესახებ ორგანული კანონის საფუძველზე შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორია, რომელიც აგროვებს მონაცემებს და იძლევა რეკომენდაციებს გენდერული ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით (მუხლი 30). ეს გახლავთ კოლეგიალური ორგანო, რომელიც არსებობს დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთან და რომელიც აანალიზებს და იძლევა რჩევებს გენდერული ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, ამზადებს ანგარიშებს, ატარებს კვლევებს, იძლევა ამ სფეროში გასატარებელ ქმედებათა შესახებ წინადადებებს. იგი მოიცავს ავტონომიურ თემებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, სოციალური აქტიორებს, მომხმარებელთა ასოციაციებს და ქალთა ორგანიზაციებს მთელს ქვეყანაში, აგრეთვე დამსაქმებელთა და პროფკავშირების ყველაზე წარმომადგენლობით ორგანიზაციებს.

# პრევენცია

## *კონვენციის III თავი*

დამოკიდებულებები, წინასწარი შეხედულებები, გენდერული სტერეოტიპები და გენდერულად მიკერძოებული ჩვეულებები თუ ტრადიციები ზეგავლენას ახდენენ ქცევის იმ მოდელებზე, რომლებიც შემდგომში ძალადობის ჩადენის მიზეზი ხდება. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისათვის, კონვენცია მხარეებისაგან მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით მთელი წყება ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც:

- ხელს შეუწყობენ დამოკიდებულებებისა და ქცევების შეცვლას;
- გაითვალისწინებენ მოწყვლადი ადამიანების საჭიროებებს და მათ ადამიანის უფლებებს უმთავრეს მნიშვნელობას მიანიჭებენ;
- მოუწოდებენ ყველას, განსაკუთრებით ბიჭებსა და მამაკაცებს, მოახდინონ ძალადობის პრევენცია;

- უზრუნველყოფენ იმას, რომ კულტურა, ჩვეულებები ან რელიგია არ გახდეს ძალადობის გამამართლებელი საფუძველი;

- ხელს შეუწყობენ ისეთი პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებას, რომლებიც ქალებს ძალაუფლებით აღჭურვავენ;

პრევენციის ღონისძიებები მოიცავს შემდეგს::

- ***ცნობიერების ამაღლება:*** საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიების წარმართვას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ინიციატივები გვეხმარება საზოგადოებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაში, რაც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს შეამჩნიონ ძალადობის სხვადასხვა ფორმები და ხმა აღიმაღლონ მის წინააღმდეგ. ანალოგიურად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება მსხვერპლთათვის, რათა მათ იცოდნენ თუ ვის შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის და რა ტიპის დახმარებაა ხელმისწავდომი. აუცილებელია გამოცხადდეს ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლთა დახმარებისათვის ხელმისაწვდომმი „ცხელი ხაზის“ ნომერი.

2004 წელს, თურქეთში, ყველაზე მაღალტირაჟიანმა გაზეთმა, Hürriyet-მა, დაიწყო ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია. ეს კომპანია შესანიშნავი მაგალითი აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ შეიძლება კერძო მედია ინსტიტუტი ჩაერთოს ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლისა და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ძალისხმევაში. ამან გააძლიერა ძალადობის

საწინააღმდეგო მხარდაჭერა და თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, პოლიტიკოსების, რელიგიური ლიდერების, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისა და ქალთა ორგანიზაციების მხრიდან.

2006 -დან 2008 წლამდე, ევროპის საბჭომ ჩაატარა ქალთა წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის კამპანია მთელი ევროპის მასშტაბით. დაახლოებით 25-მა წევრმა სახელმწიფომ ეს კამპანია გარდაქმნა ქვეყნის მასშტაბით წარმართულ კამპანიად, რომელიც ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

2008 წელს, გაეროს გენერალურმა მდივანმა დაიწყო შვიდ-წლიანი კამპანია სახელწოდებით „გაერთიანდით ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოსაფხვრელად", რაც მიზნად ისახავდა ამ მიზნის გარშემო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის მობილიზაციას.

- ***განათლება***. დამოკიდებულებებისა და ქცევების ფორმირება ცხოვრების ძალიან ადრეულ ეტაპზე ხდება. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია რომ ბავშვებს თავიდანვე ვასწავლოთ თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა ურთიერთობებში. მხარეებს კონვენცია მოუწოდებს რომ სასკოლო კურიკულუმის ყველა დონეზე სასწავლო მასალებში შეიტანონ თანასწორობის საკითხები და ხელი შეუწყონ ამ პრინციპების გატარებას არაფორმარულ საგანმანათლებლო გარემოში, როგორიცაა მაგალითად სათემო ცენტრები და სპორტული ობიექტები.

***შვეიცარიამ*** საჯარო სკოლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსი შეიმუშავა, რომელიც მოიცავს ოჯახურ, სქესობრივ და ახალგაზრდების მიმართ ძალადობას. UNICEF-მა დაიწყო თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროგრამა,

რომელსაც ეწოდება „უსაფრთხო და უნარების გამომვლენი სკოლა“, რომელიც მოიცავს კამპანიას ბავშვთა შორის ძალადობის შესაჩერებლად. ამ კამპანიის მიზანი გახლავთ დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლე ყველა ბავშვისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ხორვატიაში ეს კამპანია 400-ზე მეტ სკოლაში განხორციელდა.

- ***პროფესიონალების მომზადება***: ყველა შესაბამისი პროფესიონალის მომზადება ძალადობის, უთანასწორობის, მსხვერპლის საჭიროებების დანახვასა და თავიდან აცილებაში, განმეორებადი ძალადობისა და მსხვერპლად ქცევის პრევენციაში, უწყებათა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

***დანიაში,*** ოჯახში ძალადობა სამედიცინო ფაკულტეტის, მედდისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტების კურიკულუმში შეიტანეს. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის საკითხებს სწავლობენ გინეკოლოგიის, ზოგადი თერაპიისა და ფსიქიატრიის სამაგისტრო კურსის მსმენელებიც. ***გაერთიანებულ სამეფოში*** სპეციალური ტრენინგ პროგრამებია ხელმისაწვდომი იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც ოჯახში ძალადობის საქმეებს განიხილავენ. ***ესპანეთში*** ოჯახში ძალადობის საქმეების განსახილველად სპეციალური სასამართლოები შეიქმნა, რამაც მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის სპეციალიზირებული ტრენინგების ჩატარება გახადა შესაძლებელი.

- ***პრევენციაზე ორიენტირებული ინტერვენციები და სამკურნალო პროგრამები***: კონვენცია მხარეებისაგან მოითხოვს ოჯახში ძალადობის ჩამდენთა და სქესობრივ ნიადაგზე დამნაშავეთა მკურნალობის პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას, რომელიც ასწავლის მათ არა-ძალადობრივ ქცევას, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას, გადაასინჯინებს ქალთა მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას. სამკურნალო

პროგრამების შექმნისას, უმთავრეს საზრუნავად უნდა დარჩეს მსხვერპლის უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები და ამ პროგრამებმა საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის დამხარებაც უნდა მოითხოვოს.

***გაერთიანებულ სამეფოში*** *არასამთავრობო ორგანიზაციამ „რესპექტი“ შეიმუშავა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ინტეგრირებული მხარდამჭერი სერვისების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები და ეს ოჯახში ძალადობის ჩამდე მამაკაცებთან თანამშრომლობით განახორციელა. ევროკავშირის Daphne პროექტის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება „იმუშავე ოჯახში ძალადობის ჩამდენებთან ევროპაში“ , შემუშავებული იქნა სტანდარტები ძალადობის ჩამდენთათვის.* **გერმანიაში** *არასამთავრობო ორგანიზაცია „მიუნხენის საინფორმაციო ცენტრი მამაკაცებისათვის“ მრისხანების მართვის გაკვეთილებს სთავაზობს ოჯახში ძალადობისა და სქესობრივ ნიადაგზე ძალადობის ჩამდენ მამაკაცებს. გარდა ამისა, ინფორმაციას აძლევს მეურვეობის საკითხებზე იმ მშობლებს, რომელთაც განქორწინება სურთ ოჯახში ძალადობის გამო.*

# დაცვა და მხარდაჭერა

## *კონვენციის IV თავი*

მსხვერპლთა საუკეთესო დაცვით უზრუნველყოფას და მათ მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდგომი ძალადობის პრევენციისა და მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური აღდგენისათვის. კონვენცია მოიცავს დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების მთელ წყებას, როგორებიცაა:

- შემაკავებელი ორდერის გაცემა რათა ძალადობის ჩამდენი გაეცალოს სახლს, და შემბოჭავი ან დამცავი ორდერის გაცემა;
- ძალადობის მსხვერპლისათვის ინფორმაციის მიწოდება მისი უფლებების შესახებ და იმის შესახებ, თუ სად და როგორ მიიღოს დახმარება;
- სპეციალიზირებული დამხმარე სერვისის მიწოდება;

- მოწმეებისა და პროფესიონალების მიერ ძალადობის ფაქტის შესახებ სათანადო ორგანოების ინფორმირების წახალისება;
- იმ ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ;

## სპეციალიზირებული მხარდამჭერი სამსახურები

ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდასაჭერად მთავარ როლს სპეციალიზირებული მხარდამჭერი სამსახურები თამაშობენ. ეს სამსახურები გენდერული თვალსაზრისით სენსიტიურ მიდგომას უზრუნველყოფენ, რომელიც მორგებულია მსხვერპლთა საჭიროებებზე, რამეთუ მსხვერპლთაგან ბევრი განმეორებადი ძალადობის მსხვერპლია და ტრავმირებულია. ქალთა სპეციფიკურ ჯგუფებს, როგორებიცაა ახალგაზრდა ქალები, მიგრანტი ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, განსაკუთრებული საჭიროებები გააჩნიათ. მხარდაჭერის ფორმებია განსხვავებული უნდა იყოს მსხვერპლის მიერ განცდილი ძალადობის ტიპის მიხედვით, აქედან გამომდინარე საჭიროა მაგალითად, გაუპატიურების შემდგომი კრიზისისა და სექსუალური თავდასხმის ცენტრების თუ თავშესაფრების არსებობა. ზოგ ქალს კომპლექსური საჭიროებები აქვს, რომელიც აგრეთვე სპეციალიზირებულ მხარდაჭერას მოითხოვს. სპეციალიზირებული სერვისი უნდა იყოს:

- გადაუდებელი, მოკლე-ვადიანი და გრძელ-ვადიანი;
- გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი მთელს ქვეყანაში
- ხელმისაწვდომი იყოს ყველა მსხვერპლისა და მათი ბავშვებისათვის (და იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით);
- ცენტრს უნდა ჰყავდეს უნარიანი პერსონალი, ჰქონდეს ადეკვატური რესურსები და დაფინანსება;
- შეეძლოს მსხვერპლთა ძალებით აღჭურვა;

ქალაქ ბრუსელში შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომელსაც ეწოდება „მსხვერპლთათვის პოლიციის დახმარების ოფისი“, რომელშიც მსხვერპლთ, მათ ახლო ნათესავებს და ძალადობის მოწმეებს შეუძლიათ მისვლა, მაგრამ იმავდროულად ეს ცენტრი რჩევებს აძლევს და ეხმარება პოლიციელებსაც. ამ ცენტრის პერსონალი შედგება ფსიქოლოგისა და კრიმინალისტისტებისაგან. შვედეთში, ნაცემი და გაუპატიურებული ქალების ნაციონალური ცენტრი არსებობს, რომელიც ჯანდაცვის პროფესიონალების ტრენინგებს და პრაქტიკულ ინსტრუქტაჟს უტარებს სქესობრივი ძალადობის სფეროში და იგი ნაციონალურ რესურს-ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ამ თემაზე ექსპერტულ ინფორმაციას იძლევა.

*მხარდაჭერა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთათვის*

სქესობრივი ძალადობის, მათ შორის გაუპატიურების, მსხვერპლთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ესაჭიროებათ. გარდა ამისა მათ სჭირდებათ ტრავმის დასაძლევი დახმარება და ხანგრძლივი ფსიქოლოგიური დახმარება სენსიტიური, კარგად-მომზადებული და სპეციალიზირებული პერსონალის მხრიდან. ამის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა საკმარისი რაოდენობის, მსხვერპთათვის ადვილად მისაწვდომი გაუპატიურების კრიზისის ან სქესობრივი რეფერალური ცენტრების შექმნა. ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი ასეთ რეკომენდაციას იძლევა: საჭიროა 1 ასეთი ცენტრი ყოველ 200 000 მოსახლეზე.

1980-იანი წლებიდან დაწყებული გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სექსუალური თავდასხმის რეფერალური ცენტრები, რომელთა მიზანიცაა მაღალი ხარისხის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და პირველადი კონსულტაციის გაწევა სქესობრივი ძალადობის ახალ მსხვერპლთათვის. ნორვეგიაში კი ყოველ

საგრაფოში შექმნილია გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის ცენტრები. ეს ცენტრები მიბმულია ინტერ-მუნიციპალურ სასწრაფო დახმარების კლინიკებთან. შვედეთში კი ნაცემ და გაუპატიურებულ ქალთა ნაციონალური ცენტრი არსებობს, რომელიც სამედიცინო გასინჯვას, მკურნალობას და მხარდაჭერას უწევს ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

*ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა*

იმ ოჯახის ბავშვებმა, სადაც ძალადობას აქვს ადგილი, ხშირად იციან ამის შესახებ და თავადაც შეიძლება ძალადობის მსხვერპლად იქცნენ. ორივე შემთხვევაში ისინი მნიშვნელოვან ზიანს განიცდიან. ის სამსახურები, რომლებიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ეხმარებიან, უნდა ითვალისწინებდნენ იმ ბავშვთა საჭიროებებს, რომლებიც ძალადობის მოწმენი გახდნენ და მათ ფსიქო-სოციალურ კონსულტაციებს უნდა უტარებდნენ მათი საჭიროებების მიხედვით. ნებისმიერი დახმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებით უნდა იყოს განმსჭვალული.

შვედეთის სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას იშველიებს, რათა ხაზი გაუსვას იმას, რომ დაცვის მიღების უფლება აქვთ იმ ბავშვებსაც, რომელნიც მათი ახლობელი უფროსების მიმართ ძალადობის მოწმენი გახდნენ.

*ძალადობის ინციდენტზე შეტყობინება პროფესიონალთა მიერ*

ქალთა მიმართ ძალადობის ინციდენტთა უმრავლესობის შესახებ შეტყობინება / ინფორმირება არ ხდება. ხშირად ძალადობა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს და მსხვერპლნი მდუმარედ იტანენ ამ ტანჯვას. ეს ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის მსხვერპლთა დაცვის, შემდგომი ძალადობის პრევენციისა და ძალადობის ჩამდენის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის განხორციელების თვალსაზრისით. იმ პროფესიონალებმა, რომლებიც მსხვერპლთან მუშაობენ, როგორებიცაა ექიმები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, ხშირად იციან ძალადობის ჩადენის შესახებ და ისიც ადარდებთ, რომ ეს ძალადობა შეიძლება განმეორდეს,

მაგრამ კონფიდენციალურობის პროფესიული წესები მათ ამის შესახებ შეტყობინების საშუალებას არ აძლევს. კონვენცია შესაძლებლობას იძლევა, რომ გაუქმდეს კონფიდენციალურობის დაცვის წესი რათა პროფესიონალებს საშუალება მიეცეთ, რომ თუ თვლიან რომ ძალადობას ადგილი ჰქონდა და კიდევ მოხდება, ძალადობის სერიოზული ინციდენტების შესახებ შესაბამის უწყებას შეატყობინონ.

> ესპანეთში არსებობს კანონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გამოცემული სასამართლო ორდერების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, ის საჯარო ან კერძო სოციალური სამსახურები და ორგანოები, რომლებიც ოჯახური ძალადობის ინციდენტის შესახებ გაიგებენ, ვალდებულნი არიან ამის შესახებ მაგისტრს ან პროკურორს აცნობონ იმ მიზნით, რომ მსხვერპლის დასაცავად გაცემული იქნას დამცავი ორდერი.

# მატერიალური სამართალი

## *კონვენციის V თავი*

კონვენციას შემოაქვს მთელი რიგი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკანონმდებლო ღონისძიებებისა, რომელიც

### *სამოქალაქო სარჩელი და სამართლებრივი აღდგენის საშუალებები*

ამ დებულების მიზანია დანერგოს სამოქალაქო სამართლის ფარგლებში ისეთი აღმდგენი საშუალებები, რომელიც სასამართლოებს საშუალებას მისცემს შეაკაბოს გარკვეული ტიპის ქმედება, ხოლო მსწვერპლთ უფლება მიეცემათ მოითხოვონ ისეთი სასამართლო ორდერების გაცემა, როგორიცაა უზრუნველყოფის ღონისძიება, ამკრძალავი ორდერები, შემაკავებელი ორდერი ან აკვიატებული დევნის/აკიდების ამკრძალავი ორდერი. ეს ორდერები მნიშვნელოვან დამცავ ზომებს წარმოადგენს, რომლებიც ძალადობის ჩამდენს უკრძალავს მსხვერპლთა მიახლოებას სახლში და მიმდებარე ტერიტორიაზე. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ასეთი ორდერები მსხვერპლის უფრო ხანგრძლივად დაცვას უზრუნველყოფენ, რაც არ არის უზრუნველყოფილი გადაუდებელი დამცავი ორდერების შემთხვევაში.

სახელმწიფო პასუხისმგებელია ქალთა დაცვის უზრუნველყოფაზე ძალადობის ყველა ფორმისა და ოჯახში ძალადობისაგან. სახელმწიფოს ვალდებულებაა იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ეფექტურად მოახდინონ ძალადობრივი აქტების პრევენცია, გამოძიება და დასჯა. თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადეკვატურ მხარდაჭერას ვერ გაუწევენ და ვერ დაიცავენ ქალებს, მაშინ ამ წარუმატებლობის საკომპენსაციოდ სამოქალაქო სამართლებრივი აღდგენის საშუალებები უნდა ამოქმედდეს.

საქმეში „ბევაკუა და ს ბულგარეთის წინააღმდეგ", მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას რეგულარულად ცემდა ქმარი. მან ქმარი მიატოვა, შეიტანა განცხადება განქორწინებაზე და თან წამოიყვანა სამი წლის ვაჟიშვილი. თუმცა, მისი თქმით, ქმარმა გააგრძელა მისი ცემა. მან 4 დღე გაატარა დაზარალებულ ქალთა ცენტრში თავის ვაჟიშვილთან ერთად, მაგრამ იგი გააფრთხილეს, რომ იგი შეიძლება სამართლებრივი დევნის ობიექტი გახდეს ბიჭუნას მოტაცების გამო, რასაც თან მოჰყვება სასამართლოს ბრძანება ზიარი მეურვეობის შესახებ, რომელსაც, მისი თქმით, მისი ქმარი პატივს არ სცემს / არ დაემორჩილება. მისი მეუღლის მიმართ თავდასხმის გამო აღძრულმა სარჩელებმა მსხვერპლის თქმით შემდგომი ძალადობა გამოიწვია. მისი მოთხოვნა დროებითი მეურვეობის შესახებ პრიორიტეტულად არ მიიჩნიეს და მან მეურვეობას მიაღწია მხოლოდ ერთი წლის თავზე - მას შემდეგ, რაც განქორწინებას მიაღწია. მომდევნო წელს იგი კიდევ ერთხელ ცემა მისმა ყოფილმა მეუღლემ და მის მოთხოვნა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი ეთქვა იმ საფუძველზე, რომ „ეს პირადი საკითხია", და კერძო გადაჭრას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), იმის გამო, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ არ გაატარა აუცილებელი ღონისძიებები მოსარჩელის ქმრის დასასჯელად და

გასაკონტროლებლად. გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ამ დავის „პირად საკითხად“ კვალიფიცირება არ შეესაბამება ხელისუფლების ვალდებულებას, რომ დაიცვას მოსარჩელის ოჯახური ცხოვრება.

# კომპენსაცია

გარდა ამისა, კონვენცია მსხვერპლს ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას იმ ზიანის გამო, რომელიც მან განიცადა დაფარული დანაშაულებების შედეგად. უპირველეს ყოვლისა ძალადობის ჩამდენია პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებასა და აღდგენაზე, მაგრამ კონვენციის ხელმომწერ მხარეებს ეკისრებათ სუბსიდიური / შემავსებელი ვალდებულება რომ აანაზღაურონ ზიანი იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლს სხეულის სერიოზული დაზიანებები აქვს მიღებული ან ჯანმრთელობა გაუუარესდა.

ის, რომ სახელმწიფოს კომპენსაციის სუბსიდიური ვალდებულება ეკისრება, მხარეებს არ უკრძალავს, რომ ძალადობის ჩამდენისაგან მოითხოვოს სახელმწიფოს მიერ გადახდილი კომპენსაციის ანაზღაურება მაგრამ იმ პირობით, რომ მსხვერპლის უსაფრთხოება სათანადოდ იქნება დაცული.

1976 *წელს გერმანიამ მიიღო კანონი ძალადობრივი დანაშაულებების მსხვერპლთა კომპენსირების შესახებ, რომელიც ისეთ ძალადობრივ დანაშაულთა მსხვერპლთ, როგორებიცაა გაუპატიურება, სქესობრივი თავდასხმა, ფიზიკური თავდასხმა და მკვლელობა, ძალადობის შედეგებით გამოწვეული ხარჯების კომპენსირების გარანტიას აძლევს* (*უფარავს მკურნალობის ხარჯებს, ფსიქოლოგიური კონსულტაციის ხარჯებს, შრომისუუნარობით გამოწვეულ ზიანსა და სხვას*).

*თავისუფლების აღკვეთა, მონახულების უფლება და უსაფრთხოება*

ძალადობის ჩამდენნი ბავშვების მოსანახულებელ ვიზიტებს იყენებენ მსხვერპლზე ხელახალი თავდასხმის განსახორციელებად, რასაც სერიოზული ძალადობა და მკვლელობაც კი მოჰყოლია შედეგად. მსხვერპლთა დასაცავი ყველა სამართლებრივი ზომა თანამიმდევრული და ურთიერთთავსებადი უნდა იყოს. მაგალითად, თუ ძალადობის ჩამდენს სამოქალაქო სასამართლომ მსხვერპლთან მიახლოება / წვდომა აუკრძალა, საოჯახო სასამართლომ მას მიახლოების უფლება არ უნდა მისცეს. ამგვარად, კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვების მონახულებისა და მეურვეობის უფლებების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, გათვალისწინებული იქნას ძალადობის მნიშვნელოვანი ინციდენტები ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

*ძალადობის ფორმები*

კონვენცია, მხარეებისაგან მოითხოვს მოახდინონ ძალადობის მთელი რიგი სხვადასხვა ფორმების კრიმინალიზაცია, მათ შორის, ისეთი ფორმებისა, როგორებიცაა:

- ***ფსიქოლოგიური ძალადობა***: გამიზნული დაშინება, ვინმეს შევიწროება ან მუქარა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ადამიანს ტრავმას აყენებს. ინტიმურ ურთიერთობებში ფსიქოლოგიურ ძალადობას ხშირად თან სდევს ფიზიკური და სქესობრივი ძალადობაც.

> ***საფრანგეთში,*** *ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც დანაშაული, სისხლის სამართლის კოდექსში* 2010 *წელს იქნა შეტანილი. ეს დანაშაული შეიძლება დაისაჯოს მკაცრი სანქციებით, დაწყებული* 3 *წლით თავისუფლების აღკვეთით და დამთავრებული* 75 000 *ევრო ჯარიმით.*

- ***აკვიატებული დევნა / გადაკიდება***: ადამიანის განმეორებითი შეშინება ადევნებით, არასასურველ კომუნიკაციაში შეყვანით ან ინფორმირებით, რომ

მათ მუდმივად აკვირდებიან, რაც ამ ადამიანს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შიშს აღუძრავს. ძალადობის ეს ფორმა შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ქონების დაზიანება, მსხვერპლის ოჯახის, მეგობრების ან ცხოველების მიზანში ამოღება, ინტერნეტში ტყუილი ინფორმაციის გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა და აკვიატებული დევნა/გადაკიდება პრინციპულად უნდა იქნას კრიმინალიზებული, კონვენცია აკეთებს დათქმას, რათა იმ მხარეებს, რომელთა სამართლებრივი სისტემა ასეთი ქცევისათვის არა-სისხლის სამართლებრივ სანქციებს ითვალისწინებს, დაუტოვოს ასეთი სანქციის მისადაგების მოქნილობა/ შესაძლებლობა. თუმცა, არა-კრიმინალური სანქციები იმგვარი უნდა იყოს, რომ საკმარისი იყოს ძალადობის ჩამდენის დასასჯელად და მომავალში ამგვარი ქცევის აღსაკვეთად.

*იტალიაში აკვიატებული დევნა / გადაკიდება კრიმინალურ დანაშაულად 2009 წელს იქნა ცნობილი. იგი შეიძლება დაისაჯოს საპატიმრო სასჯელით 6 თვიდან 4 წლამდე. თუ ამ დანაშაულის ჩამდენი ყოფილი მეუღლეა ან ის პირია, რომელიც მსხვერპლთან ინტიმურ კავშირში იყო, სანქცია შეიძლება 6 წლიან პატიმრობამდე გაიზარდოს. იგივე წესი მოქმედებს თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია.*

- ***სქესობრივი ძალადობა გაუპატიურების ჩათვლით:*** ნებისმიერი სქესობრივი ხასიათის აქტი, რომელიც განზრახ არის შესრულებული ვინმეს მიმართ მისი თანხმობის გარეშე. ეს მოიცავს სხეულის რომელიმე ნაწილში ძალადობის ჩამდენის სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან რაიმე ნივთის შეტანას. სქესობრივი ძალადობის დანაშაულებები ხშირად დაუსჯელი რჩება იმის გამო, რომ ხშირად მსხვერპლს არ უჯერებენ, თუ მას არ შეუძლია იმის დამტკიცება, რომ ცდილობდა თავდასხმისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ სამართლებრივი ვაკუუმის ამოსავსებად, კონვენცია მოითხოვს, რომ თანხმობის მიცემა - არ მიცემის

შეფასებისას, გათვალისწინებული იქნას ის ვითარება, რომელშიც სექსუალური აქტი განხორციელდა, მიუხედავად იმისა მსხვერპლმა გასწია თუ არა წინააღმდეგობა. გარდა ამისა, ეს მუხლი ახდენს მეუღლეებს შორის, პარტნიორებს შორის ან ყოფილ მეუღლეებსა და ყოფილ პარტნიორებს შორის მომხდარი გაუპატიურების კრიმინალიზაციასაც.

დეკლარაციაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1993 წელს მიიღო, ქორწინებაში გაუპატირება ცალსახად არის განსაზღვრული, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთერთი ფორმა.

- ***სქესობრივი შევიწროება:*** სქესობრივი ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი ვერბალური, არა-ვერბალური ან ფიზიკური ქმედება სხვა ადამიანის ღირსების შელახვის მიზნით ან შედეგით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ქმედება ქმნის დამაშინებელ, დამაკნინებელ, დამამცირებელ ან მტრულ გარემოს. აქაც, კონვენცია მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ამგვარი ქმედების აღსაკვეთად გამოყენოს არა-სისხლის სამართლით გათვალისწინებული სანქციები, რაც სამოქალაქო ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სანქციების მისადაგებას გულისხმობს.

- ***იძულებითი ქორწინება:*** ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მუქარის განზრახ გამოყენების აქტი, რომელიც ჩადენილია იმ მიზნით, რომ ზრდასრული ადამიანი ან ბავშვი აიძულონ შევიდეს ქორწინებაში; ან ზრდასრულის ან ბავშვის სხვა ქვეყანაში წაყვანა იძულებით ქორწინებაში შეყვანის მიზნით.

გაერთიანებულ სამეფოში, არასამთავრობო ორგანიზაცია Southall Black Sisters-ის კამპანიის შედეგად, მომზადდა პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაცია (გაიდლაინი) იძულებითი ქორწინების შესახებ. ეს გაიდლაინი მოითხოვს გაუმჯობესდეს გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს რეაგირება იმ შემთხვევებზე, როდესაც ბრიტანეთის მოქალაქეებს ქორწინებაში შესვლას საზღვარგარეთ აიძულებენ.

- ***ქალის გენიტალიების დასახიჩრება***: მოიცავს ყველა ისეთ პროცედურას, რომელიც განზრახ ცვლის ან აზიანებს ქალის სასქესო ორგანოებს არა-სამედიცინო მიზნებით. ასეთი ქმედება გამოუსწორებად ზიანს აყენებს ქალს და როგორც წესი სრულდება მსხვერპლის თანხმობის გარეშე. კონვენცია სისხლის სამართლის სანქციებს აკისრებს მათაც, ვინც ამ ქმედების ჩამდენს სასქესო ორგანოების დასახიჩრების პროცედურის შესრულებაში ეხმარება.

ავსტრიაში 2001 წლამდე სხეულისათვის ზიანის მიყენება არ იყო დასჯადი ქმედება იმ შემთხვევაში თუ დაზიანებული მხარის თანხმობით სრულდებოდა. შედეგად, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკა არ იყო დასჯადი თუ გოგონას მშობელი ან მეურვე იურიდიულ თანხმობას აცხადებდა. სისხლის სამართლის კოდექსში შესული შესწორების შედეგად, ავსტრია არ დაუშვებს „გენიტალიების ისეთ დასახიჩრებას ან დაჭრას, რომელიც სქესობრივი შეგრძნებების მუდმივ გაუარესებას გამოიწვევს“.

- ***იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია***: მოიცავს აბორტის ჩატარებას ქალისათვის მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მიღების გარეშე და ისეთ ქირურგიულ ჩარევას, რომლის მიზანი ან შედეგია ქალის მიერ ბუნებრივი რეპროდუქციული უნარის დაკარგვა მისი

წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან გააზრების გარეშე.

*ხელის შეწყობა ან თანამონაწილეობა და მცდელობა*

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც განზრახ ხელს უწყობს, აქეზებს და მხარს უჭერს მას, ვინც ჩადის ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის დანაშაულს, გადაკიდებას, იძულებით ქორწინებას, ქალთა გენიტალიების დასახიჩრებას ან იძულებით აბორტსა და იძულებით სტერილიზაციას, კონვენციის მიხედვით დამნაშავეა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედების ჩადენაში. ეს მუხლი მოიცავს სამართალდარღვევებს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით. ამასთან, ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის, იძულებითი ქორწინების, ქალის გენიტალიების დასახიჩრების ან იძულებითი აბორტისა და იძულებითი სტერილიზაციის განზრახ ჩადენა სამართალდარღვევასაც წარმოადგენს.

*მიუღებელი გამართლებანი ჩადენილ დანაშაულთათვის, მათ შორის იმ დანაშაულთათვის, რომლებიც ჩადენილ იქნა ეგრეთ წოდებული „ღირსების“ მიხედვით*

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ძირეული მიზეზების და იმ დამოკიდებულებათა აღმოსაფხვრელად , რომლებიც ძალადობის ჩადენას განაპირობებს, კონვენცია ამკვიდრებს პრინციპს, რომ კრიმინალური ქმედება მიუღებელია ნებისმიერ გარემოებებში. კულტურა, რელიგია, ტრადიცია ან სხვა პირადი მიზეზები კრიმინალური ქმედებისა არ შეიძლება მიღებული იქნას ქალთა მიმართი ან ოჯახში ძალადობის გასამართლებლად და სასამართლომ ეს საფუძველი არ უნდა გამოიყენოს მიზეზად, როდესაც კანონის ინტერპრეტირებას ახდენს. ამ საფუძველზე ძალადობას ხშირად ის ბავშვები ჩადიან, რომლებიც ასაკის გამო სამართლებრივი დევნის ობიექტები არ ხდებიან და ეს ხდება მაშინ, როდესაც მათ აქეზებენ ოჯახის ზრდასრული წევრები ან თემი. ამ სამართლებრივი სიცარიელის შესავსებად, კონვენციის ხელმომწერმა მხარეებმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დააკისრონ ნებისმიერ

ადამიანს, რომელც სხვას წააქეზებს ამგვარი ძალადობის ჩადენისაკენ.

*იურისდიქცია*

კონვენციით დადგენილი იურისდიქციის პრინციპები ანალოგიურია ევროპის საბჭოს სხვა კონვენციებით დადგენილი პრინციპებისა და მოითხოვს შემდეგს;

- მხარეებს მოეთხოვებათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენნი დასაჯონ თავიანთ ტერიტორიებზე, იმ გემებზე, რომლებიც მათი ქვეყნის დროში ქვეშ დაცურავს ან იმ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც მისი კანონმდებლობით არის დარეგისტრირებული ან თუ სამართალდარღვევა ჩაიდინა იმ მოქალაქემ ან პირმა, რომელიც ჩვეულებრივ მის ტერიტორიაზე ცხოვრობს.
- მხარეებს კონვენცია მოუწოდებს, რომ, რომ შეეცადონ და სამართლებრივი დევნა აწარმოონ ყველა იმ სამართალდარღვევის გამო, რომელიც ჩადენილია მათი მოქალაქეების წინააღმეგ ან იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვეულებრივ მათ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაშინაც, როდესაც ისინი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არიან, რათა დაიცვას ისინი;
- ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც სქესობრივ ძალადობას, იძულებით ქორწინებას, ქალთა გენიტალიების დასახიჩრებას ან იძულებით აბორტს ან იძულებით სტერილიზაციას განახორციელებს მხარეების მიერ უნდა დაისაჯოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს დანაშაული საზღვარგარეთ არის ჩადენილი. და ეს, მიუხედავად იმისა არის თუ არა აღნიშნული სამართალდართვევები კრიმინალიზირებული იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ჩადენილი იქნა და მიუხედავად იმისა მსხვერპლმა იმ ქვეყნის წინაშე წარადგინა თუ არა საჩივარი ან იმ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებმა გამოიძიეს თუ არა ეს საქმე.

- ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობს, სამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს ამ ქვეყნის მიერ თუ არ მოხდა ამ პირის ექსტრადირება იმ ქვეყანაში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი ან საიდანაც მსხვერპლი არის წარმოშობით.

*სანქციები და ზომები*

კონვენცია მოითხოვს, რომ კონვენციით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო დაკისრებული სანქციები იმგვარი იყოს, რომ ასახავდეს ძალადობის სერიოზულობას. სანქციები უნდა იყოს „ეფექტური, პროპორციული და გადამაფიქრებელი“ და შეიძლება მოიცავდეს პატიმრობას ან მშობლის უფლებების ჩამორთმევას ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მსხვერპლის უსაფრთხოება სხვანაირად ვერ იქნება გარანტირებული.

*დამამძიმებელი გარემოებები*

კონვენცია უფრო მკაცრ სასჯელს მოითხოვს გარკვეულ სიტუაციებში, მაგალითად თუ დანაშაული ჩადენილი იქნა ოჯახის ახლობელი წევრის მიერ, განმეორებით და განსაკუთრებით მოწყვლადი პირის მიმართ, ბავშვის წინააღმდეგ ან ბავშვის თანდასწრებით, რამოდენიმე ადამიანის მიერ ერთად, ძალადობის უკიდურესი ფორმის გამოყენებით, იარაღის მუქარით, თუ გამოიწვია მსხვერპლისათვის მძიმე ზიანის მიყენება და თუ ჩამდენი მანამდეც იყო მსჯავრდებული ანალოგიური დანაშაულის გამო.

*ესპანეთში, გენდერული ძალადობის შესახებ ორგანული კანონის მიღების შემდეგ, შესწორდა სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი, რათა გამკაცრებულიყო სანქცია იმ შემთხვევისათვის თუ თავდასხმა მიმართულია მეუღლის (ყოფილი მეუღლის) ან ისეთი პირის წინააღმდეგ, ვისთანაც აგრესორს ანალოგიური ურთიერთობები ქონდა, მიუხედავად თანაცხოვრებისა. ბელგიაში, სისხლის სამართლის კოდექსი ოჯახში ძალადობა ცალკე დანაშაულად არ არის გამოკვეთილი.*

*თუმცა, თუ ფიზიკურ ძალადობას ჩადის ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე ან პარტნიორი, ეს უფრო სერიოზულ დანაშაულად ითვლება და უფრო მკაცრი სანქციებით ისჯება.*

*თუმცა, თუ ფიზიკურ ძალადობას ჩადის ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე ან პარტნიორი, ეს უფრო სერიოზულ დანაშაულად ითვლება და უფრო მკაცრი სანქციებით ისჯება.*

*დავების გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიული პროცესების ან გასმართლების აკრძალვა*

იკრძალება დავების გადაჭრის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ძალადობა იქნა ჩადენილი, რამეთუ მსხვერპლსა და მოძალადეს შორის მედიაცია ვერასდროს ვერ იქნება თანასწორი პროცესი. თუ სახეზე გვაქვს კონვენციით რეგულირებადი ძალადობა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. თუ ჩამდენს ჯარიმის გადახდას დააკისრებენ, კონვენციის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამან ირიბად მსხვერპლის ფინანსური სიდუხჭირე არ გამოიწვიოს. ხშირად მსხვერპლი და ძალადობის ჩამდენი ერთი და იმავე ოჯახის წევრები არიან და ნებისმიერ ჯარიმას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ოჯახის შემოსავალზე ან ალიმენტის გადახდაზე.

# გამოძიება, სისხლის სამართლებრივი დევნა, პროცესუალური სამართალი და დამცავი ზომები

## *კონვენციის მე-VI თავი*

*რისკის შეფასება და რისკის მართვა*

ძალადობის ჩამდენი ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს სერიოზული ძალადობით და სიკვდილითაც კი ემუქრებიან, განსაკუთრებით თუ მსხვერპლი მიდის ან თუ ძალადობის ჩამდენი სისხლის

სამართლებრივი დევნის წინაშე აღმოჩნდება. გამოძიების პროცესის ყველა ეტაპზე მსხვერპლის დაცვის მიზნით, ხელისუფლების ყველა შტომ მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული მსხვერპლის წინაშე მდგარი საფრთხის დონე და შემუშავებული უნდა იყოს გეგმა ამ რისკების მართვისათვის. შეფასების დროს უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა იარაღი ან მასთან წვდომა დამნაშავეს. ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ზომები, რომელიც საშუალებას მოგცემთ განახორციელოთ იარაღისა და ტყვია-წამლის დაუყოვნებლივი კონფისკაცია მსხვერპლის დაცვის მიზნით.

> გაერთიანებულ სამეფოში მაღალი რისკის მსხვერპლთა რისკის შეფასების მულტი-ორგანიზაციული კონფერენციები (MARACs) იმართება თვეში ერთხელ რათა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა და მაღალი რისკის მსხვერპლთა და მათი შვილების დაზარალებისა და დაზიანების პრევენცია. კონფერენციები ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებას და მომსახურების მიმწოდებლებს, როგორებიცაა პოლიცია, პრობაციის სამსახურები, ადგილობრივი ხელისუფლება, ჯანდაცვისა და საბინაო საკითხების წარმომადგენლები, თავშესაფრისა და დახმარების გამწევის სამსახურები. (MARACs)-ის დროს შეიმუშავებენ ინდივიდუალურ გეგმებს, რომლებიც მიმართულია მსხვერპლთა უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ. ეს კონფერენციები მნიშვნელოვანია ინფორმაციული დეფიციტის გამოსავლენად და შესავსებად.

*დაუყოვნებლივი შემაკავებელი ორდერი*

მსხვერპლისათვის დაუყოვნებლივი დახმარების გაწევის მიზნით, კონვენცია უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის მოცილებას სახლიდან და ოჯახიდან, აწესებს ფიზიკურ დისტანციას მათ შორის რათა თავიდან აცილებული იყოს ძალადობის შემდგომი ფაქტები. ძალადობის ჩამდენის მოცილება საცხოვრებელი ადგილიდან მაშინაც კი, თუ იგი საცხოვრებელი ადგილის მესაკუთრეა, ხელს უშლის მას მსხვერპლისათვის შემდგომი ტრავმის მიყენებაში, რომელიც, სხვა შემთხვევაში, იძულებული იქნებოდა თავად

დაეტოვებინა საცხოვრებელი, ხშირად შვილებთან ერთად მათივე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მხარეებზეა დამოკიდებული თუ ხელისუფების რომელ ნაწილს მიეცემა უფლებამოსილება, გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, პრიორიტეტი.უნდა მიენიჭოს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მდგომი ადამიანების უსაფრთხოების დაცვას.

*შეზღუდვა ანუ დამცავი ორდერი*

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ და გასცენ ორდერი კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა დაცვისათვის, რათა შეაკავონ ძალადობის ჩამდენი და არ მიისცენ მას მსხვერპლთან კონტაქტის საშუალება გარკვეული პერიოდით. დაუყოვნებლივი დაცვის მიზნით ეს ორდერები უნდა იყოს:

- ხელმისაწვდომი ფინანსური თვალსაზრისით;
- ხელმისაწვდომი დაუყოვნებლივი დაცვის მიზნით;
- უნდა გაიცეს მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ჩამდენი შესაძლოა იყოს სხვა სამართალწარმოების ობიექტი;
- შესაძლებელი უნდა იყოს, გაიცეს სამომავლო სასამართლო პროცესებზე;
- უნდა გაიცეს მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე;
- უნდა გაიცეს ისე, რომ არ დაირღვას ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლო პროცესზე; .

> **ავსტრიაში** ძალადობისაგან დაცვა ოჯახური აქტის ფარგლებში პოლიციას აძლევს უფლებას, დააცილევინოს ძალადობის ჩამდენს საცხოვრებელი ადგილი 10 დღით. ეს გამოიყენება, როგორც პრევენციული მექანიზმი. ამ ღონისძიების განსახორციელებლად არ არის საჭირო მსხვერპლის თანხმობა ან თხოვნა (ex officio). 24 საათის განმავლობაში, პოლიციამ

უნდა გაუგზავნოს ანგარიში ინტერვენციის ცენტრს, რომელიც მსხვერპლს სთავაზობს სრულყოფილ კონსულტაციას. ასეთი კოსულტაციის მიზანია, მიღებული იქნას ინფორმირებული გადაწყვეტილება მსხვერპლის მიერ მიმართოს თუ არა საოჯახო საქმეების სასამართლოს ხანგრძლივვადიანი დამცავი ორდერისათვის, რომელიც გრძელდება სამი თვით. ასეთი დამცავი ორდერის ბენეფიციარები არიან არა მხოლოდ მეუღლეები და პარტნიორები, არამედ პოტენციურ მსხვერპლთა ფართო ფენები, როგორებიცაა ოჯახური ტიპის გარემოში ერთად მცხოვრები ადამიანები.

*დაცვის ღონისძიებები*

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლო პროცერსებზე დაცული იყოს მსხვერპლთა უფლებები და მათ აღარ მიიღონ შემდგომი ტრავმა სასამართლო პროცესებზე, მხარეებს მოეთხოვებათ გაატარონ დამცავი ღონისძიებების მთელი სერია, რომელშიც შედის:

- მსხვერპლის, მათი ოჯახებისა და მოწმეების უსაფრთხოების დაცვა დაშინებისა და შურისძიებისაგან;
- მსხვერპლებისათვის ინფორმაციის მიწოდება ძალადობის ჩამდენის ადგილსამყოფელის შესახებ განსაკუთრებული საფრთხის დროს;
- ინფორმაციის მიწოდება ხელმისაწვდომი მომსახურების ფორმების, გამოძიების პროცესისა და შედეგების შესახებ;
- მტკიცებულების მიწოდებისა და ჩვენების მიცემის შესაძლებლობა ძალადობის ჩამდენი პირის დასწრების გარეშე და მსხვერპლთა პრივატულობისა და ვინაობის დაცვა;
- მსხვერპლთათვის ლინგვისტური დახმარების გაწევა უსასყიდლოდ თუ ისინი წარმოადგენენ სასამართლო პროცესზე მხარეს ან იძლევიან ჩვენებას.

# მიგრაცია და თავშესაფარი

## *კონვენციის მე-7 თავი*

მიგრანტი და ლტოლვილი ქალები წარმოადგენენ ძალადობის მიმართ განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფს. ამდენად, კონვენცია კრძალავს დისკრიმინაციას მიგრანტის ან ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე, როცა საქმე ეხება კონვენციის დებულებების განხორციელებას. ასევე, იგი მოითხოვს რომ განხორციელდეს ღონისძიებები, რათა მოხდეს ასეთი ძალადობის პრევენცია, დაცული იყვნენ მსხვერპლნი და გათვალისწინებული იყოს მოწყვლადი ადამიანების საჭიროებები.

## *საცხოვრებელი სტატუსი*

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმეტესობა მეუღლეებისა და პარტნიორებისაგან მოითხოვს დარჩნენ ქორწინებაში ან ერთად გარკვეული დროით სანამ ისინი არ მიიღებენ ავტონომიურ საცხოვრებელ სტატუსს. ბევრ მიგრანტ და ლტოლვილ ქალს ეშინია დატოვოს ძალადობის ადგილები, რადგან ისინი დგებიან საცხოვრებლის სტატუსის დაკარგავის რისკის წინაშე. კონვენცია ადგენს დამოუკიდებელი საცხოვრებელი სტატუსის შესაძლებლობას იმ მიგრანტი ქალებისათვის, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი და საშუალებას აძლევს სხვა ქვეყანაში იძულებით ქორწინებაში მყოფ მიგრანტ მსხვერპლებს დაიბრუნონ მათი საცხოვრებელი სტატუსი.

კონვენცია საშუალებას აძლევს მხარეებს, დაიტოვონ უფლება არ გამოიყენონ საცხოვრებელ სტატუსთან დაკავშირებული დებულებები ან გამოიყენონ ისინი მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში და პირობებში.

## *თავშესაფრის მოთხოვნა გენდერულ საფუძველზე*

თავშესაფარის მაძიებელ ქალებს აქვთ დაცვასთან დაკავშირებული მამაკაცებისაგან განსხვავებული სპეციფიკური პრობლემები. ქალებს, შესაძლოა, არ უნდოდეთ ან არ შეეძლოთ დევნილობის სტატუსის დადგენის პროცესში, რომელიც არ ითვალისწინებს კულტურულად მგრძნობიარე თემებს, გაამხილონ გადატანილი ძალადობის ფაქტები,

როგორებიცაა გაუპატიურება. ქალები ხშირად ხდებიან სქესობრივი ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლნი და ვერ ახერხებენ საკუთარი თავის დაცვას. იმ მიზნით, რომ დაარეგულიროს კონკრეტული საკითხი, რომელიც უკავშირდება ქალების მიერ თავშესაფრის ძიებას, კონვენცია ადგენს შემდეგ ვალდებულებას:

- ქალების წინააღმდეგ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის, როგორც დევნის ფორმის აღიარება 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის დებულებების ფარგლებში;
- გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გათვალისწინება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების დროს;
- თავშესაფრის ძიების პროცესში დაინერგოს გენდერულად მგრძნობიარე პროცედურები, სახელმძღვანელო პრინციპები და დახმარების გაწევის ფორმები, რათა გათვალისწინებული იყოს ყურადსაღები განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის.

ეს და ადამიანების გადაცემაზე უარის შესახებ დებულებები შეესაბამება და არ ცილდება 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-3-ე მუხლს, როგორც მას ინტერპრეტაციას უკეთებს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო::

> 2002 ***წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა*** (***UNHCR***) *გამოსცა სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: დევნა გენდერულ საფუძველზე* 1951 *წლის კონვენციის* 1ა(2) *მუხლის და/ან მისი* 1967 *წლის პროტოკოლის, რომელიც უკავშირდება ლტოლვილის სტატუსს, კონტექსტში. სახელმძღავნელო პრინციპები იძლევა ინტერპრეტაციისათვის საჭირო მითითებებს მთავრობებისათვის, იურისტებისათვის, გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და სასამართლო ხელისუფლებისათვის ისევე, როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატის თანამშრომლებისათვის, რომლებიც ადგილზე ადგენენ ლტოლვილის სტატუსს.*

*უარის თქმა ადამიანების გადაცემაზე*

კონვენცია ადგენს ვალდებულებას, რომ მიუხედავად სტატუსისა, უარი თქვას იმ მსხვერპლის გადაცემაზე, რომელსაც ჭირდება საერთაშორისო დაცვა  იმ ქვეყანაში, სადაც იგი აღმოჩნდება რისკის ქვეშ ან დაექვემდებარება წამებას, არადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ადამიანების გადაცემაზე უარის თქმის პრინციპი არის თავშესაფრის მაძიებლისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის პრინციპი.

# მონიტორინგის მექანიზმები

## კონვენციის მე-9 თავი

იმისათვის, რომ კონვენცია ეფექტურად განხორციელდეს მხარეების მიერ, შექმნილია მონიტორინგის მექანიზმი. ეს მექანიზმი ორი ორგანოსაგან შედგება:

- ***ექსპერტთა ჯგუფი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე - ტექნიკური ჯგუფი, რომელსაც ეწოდება*** GREVIO, შედგება 10-დან 15-მდე დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალებისა და ოჯახებში  ძალადობის წინააღმდეგ და მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის საკითხებზე.  ჯგუფი შედგება იმ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მიერთებულნი არიან კონვენციას და მასში დაცულია მულტიდისციპლინალური და გეოგრაფიული ბალანსი. ჯგუფის მიზანი იქნება შეაფასოს და გაზომოს, თუ როგორ ასრულებენ მხარეები კონვენციის მოთხოვნებს. GREVIO-ს პირველი 10 წევრი აირჩიეს 2015 წლის მაისში: ფერიდე აკარ (თურქეთი), ბილიანა ბრანკოვიჩ (სერბეთი), ფრანსუაზ ბრიე (საფრანგეთი), ელენა მარია კარვაიო მარტინს ლეიტაო (პორტუგალია), ჯემა გალეგო (ესპანეთი), სიმონა ლანცონი (იტალია),

როზა ლოგარ (ავსტრია), ირის ლუარასი (ალბანეთი), მარსელინ ნაუდი (მალტა), ვესნა რატკოვიჩ (მონტენეგრო).

- ***მხარეების კომიტეტი*** - ეს არის პოლიტიკური ორგანო, რომელიც შედგება კონვენციის წევრი მხარეების წარმომადგენლებისაგან და რომელიც ირჩევს GREVIO-ს წევრებს მხარის მიერ დასახელებული კანდიდატებიდან.

*პროცედურა*

GREVIO ანგარიშებს იღებს კონვენციის მხარეებისაგან. ეს ანგარიშები მზადდება კითხვარებზე დაყრდნობით. GREVIO-ს, ასევე, შეუძლია ინფორმაციის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებისაგან, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუციებისაგან, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარიატისაგან, საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს სხვა სპეციალური ან საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ შექმნილი ორგანოებისაგან, როგორიცაა CEDAW (ქალთა წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი). თუკი მიწოდებული ინფორმაცი არ არის საკმარისი, ან თუ კონკრეტული საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლივ ყურადღებას, GREVIO-ს უფლებამოსილია განახორციელოს ვიზიტი ამ ქვეყანაში და ეს გააკეთოს ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

GREVIO, მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიმუშავებს ანგარიშის პროექტს, რომელსაც კომენტარისათვის აწვდის შესაბამის მხარეს. ეს კომენტარები გათვალსიწინებული იქნება GREVIO-ს საბოლოო ანგარიშში და იგი წარუდგენს თავის დასკვნებს მხარეების კომიტეტს, რომელსაც შეუძლია მიიღოს და დაამტკიცოს GREVIO-ს დასკვნებზე დაყრდნობით მომზადებული რეკომენდაციები და განსაზღვრული დროისათვის შესარულებლად მიაწოდოს შესაბამის მხარეს.

*ზოგადი რეკომენდაციები*

GREVIO-მ შესაძლოა მიიღოს რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება არა რომელიმე კონკრეტულ მხარეს, არამედ ეხება

ყველა წევრი სახელმწიფოსათვის პრობლემურ საკითხებს და შეიცავს ნათელ სახელმძღვანელო პრინციპებს კონვენციის დებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

*პარლამენტის ჩართვა მონიტორინგში*

მოწვეული იქნებიან ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლები რათა მონაწილეობა მიიღონ კონვენციის საქმიანობების განხორციელების მონიტორინგში, რაც წარმოადგენს მათი როლის მნიშვნელობის აღიარებას კონვენციის განხორციელებაში. წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ წარუდგინონ GREVIO-ს ანგარიშები საკუთარ პარლამენტებს კონსულტაციების მიზნით.

ისტორიაში პირველად ევროპის საბჭოს ხელშეკრულების ტექსტი მოუწოდებს საპარლამენტო ასამბლეას, რეგულარულად შეამოწმოს ამ ხელშეკრულების შესრულება. ეს დებულება აღიარებს საპარლამენტო ასამბლეის მნიშვნელოვან როლს ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის საკითხის ევროპის საბჭოსა და მისი წევრი სახელმწიფოების დღის წესრიგში ჩასმასთან დაკავშირებით და მის ხანგრძლივვადიან ვალდებულებას ამ საკითხის მიმართ.

# ურთიერთობა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან

## *კონვენციის მე-10 თავი*

ეს დებულება ეხება ურთიერთობებს კონვენციასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს შორის და უზრუნველყოფს მათ ჰარმონიულ თანაარსებობას. კონვენცია არ ერევა იმ უფლებებსა და ვალდებულებებში, რომლებიც დაფიქსირებულია და წარმოიშვება იმ საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც ეხება იგივე საკითხებს, რომლებიც განხილულია კონვენციაში. ასეთებია, მაგალითად ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი პროტოკოლები; გაეროს კონვენცია ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის

შესახებ  და მისი პროტოკოლები. კონვენცია ისეა შემუშავებული, რომ გააძლიეროს ქალთა ძალადობისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვა და დახმარება.

კონვენციას მიერთებული მხარეებს მოვუწოდებთ, ითანამშრომლონ და იმუშაონ ერთად ისეთ საკითხებზე დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც განხილულია კონვენციაში, რაც კიდევ უფრო გაძლიერებს მის დებულებებს და გააუმჯობესებს მის განხორციელებასა და გამოყენებას.

# დასკვნითი დ ებულებები

## *კონვენციის მე-12 თავი*

### *ძალაში შესვლა*

ამ კონვენციაზე ხელის მოწერა შეუძლია როგორც ევროპის საბჭოს წევრ, ასე არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში (კანადა, ვატიკანი, იაპონია, მექსიკა და აშშ) და ევროკავშირი.

კონვენციის ძალაში შესვლისათვის საჭირო იყო მისი რატიფიკაცია ათი სახელმწიფოს მიერ.

### *კონვენციასთან მიერთება*

ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციას შეიძლება მიუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი.

### *დათქმები*

მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ დათქმის უფლება მხოლოდ იმ მუხლებთან მიმართებაში, რომლებთა მიმართაც ეს ცხადად დასაშვებია და ეს შეიძლება გაკეთდეს მაქსიმუმ ხუთი წლით. დათქმის განახლება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. დათქმების შესაძლებლობამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმ სახელმწიფოების რაოდენობის მოგროვებას, რამდენიც საჭიროა  კომვენციის

რატიფიკაციისათვის. უფრო მეტი დრო დაჭირდება ამ ქვეყნების კანონმდებლობის ჰარმონიზაციას კონკრეტულ საკითხებთან.

დათქმები შესაძლოა გამოყენებული იყოს შემდეგ მუხლებთან მიმართებაში:

- მუხლი 30 (კომპენსაცია), პარაგრაფი 2;
- მუხლი 44 (იურისდიქცია), პარაგრაფი 1.ე, 3 და 4;
- მუხლი 55 (საქმის განხილვა Ex parte და ex officio), პარაგრაფი 1, 35-ე მუხლთან დაკავშირებით უმნიშვნელო დანაშაულებთან მიმართებაში;
- მუხლი 58 (საკანონმდებლო აქტი შეზღუდვაზე) მუხლი 37, 38 და 39 მიმართებაში;
- მუხლი 59 (საცხოვრებელი სტატუსი).

მხარეები, ასევე, იტოვებენ უფლებას, გამოიყენეონ სისხლის სამართლის სანქციებისაგან განსხვავებული სანქციები 33-ე მუხლის შემთხვევაში (ფსიქოლოგიური ძალადობა) და 34-ე მუხლთან დაკავშირებით (აკვიატებული დევნა/გადაკიდება).

დათქმების დადგენა შესაძლებელია კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის შემდეგ და მათი გაუქმება შესაძლებელია ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დეკლარაციის გაგზავნის გზით. ხუთი წლის შემდეგ დათქმების ვადა ამოიწურება თუ არ მოხდა მათი განახლება. თუ მხარე გადაწყვეტს, რომ უნდა განაახლოს დათქმები, მან ამის მიზეზების შესახებ უნდა შეატყობოინოს GREVIO-ს.

# ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ეპილოგი



როგორც იქნა, 2014 წლის 1 აგვისტოს მოხდა ის, რისთვისიაც ჩვენ ასე ვიღწვოდით - ძალაში შევიდა სტამბულის კონვენცია. სტამბულის კონვენციის პროექტის შემუშავება, მისი დამტკიცება, ხელის მოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა გახლავთ ერთობლივი ძალისხმევის შედეგი, რომლის საშუალებითაც მოხდა ყველა იმ მხარის რესურსებისა და ენერგიის მობილიზება, რომლებიც ჩართულნი არიან ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში: ევროპის საბჭო და მისი სხვადასხვა ორგანოები და სტრუქტურები, სახელმწიფოების მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები გაეროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და, რა თქმა უნდა, ქვეყნების პარლამენტების ჩათვლით.

ყველა ამ ინსტიტუციასა და მათში მომუშავე ადამიანებს მტკიცედ წამთ, რომ ეს კონვენცია არის მძლავრი პასუხი ძალადობის მსხვერპლთა მიერ გადატანილ ტანჯვაზე. მის ძალაში შესვლამდეც კი, სტამბულის კონვენცია იქცა ამ სფეროში ძლიერ ინსტრუმენტად არა მხოლოდ ჩვენი წევრი სახელმწიფოების, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი მიღების პირველივე წუთებიდან კონვენციამ გააძლიერა  ქალთა წინააღმდეგ მიმართული და ოჯახური ძალადობის მიუღებლობის უპრეცედენტო გაცნობიერება,.

სტამბულის კონვენცია ეფუძნება იმის გააზრებას, რომ ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა არის გენდერული ხასიათი ძალადობა, რომელიც ხორციელდება ქალების წინააღმდეგ, რადგან ისინი არიან ქალები და ქალების მიმართ ძალადობა უფრო ადვილია ვიდრე კაცების წინააღმდეგ. იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში სასწორზე დევს ადამიანის უფლებები, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაუპირისპირდნენ ძალადობის ყველა ფორმას და გადადგან ნაბიჯები მისი პრევენციის მიზნით, დაიცვან მსხვერპლნი და პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები. ჩვენ სრულიად ნათლად უნდა განვაცხადოთ: შეუძლებელია ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობა თუ ქალები მასშტაბურად ხდებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლნი, ხოლო სახელმწიფო ორგანოები და ინსტიტუციები ამაზე თვალებს ხუჭავენ.

სწორედ ამიტომ, მისასალმებელია კონვენციის ძალაში შესვლა, თუმცა ჩვენი ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ კონვენციის განხორციელება.

GREVIO, სტამბულის კონვენციის მიერ დაარსებული ექსპერტთა ჯგუფი, დიდ როლს ითამაშებს ამ მიმართულებით. ასევე, ახალ და მნიშვნელოვან როლს აიღებს საპარლამენტო ასამბლეაც: სახელმწიფოების პარლამენტებსა და საპარლამენტო ასამბლეას პირველად დაეკისრათ პასუხისმგებლობა, მონიტორინგი გაუწიონ ევროპის საბჭოს კონვენციას. და ბოლოს, აუცილებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ კონვენციის რატიფიცირება სხვა სახელმწიფოებმაც მოახდინონ.

ამ სახელმძღვანელოს სახით, პარლამენტებს ეძლევათ პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომ უფრო ფართოდ გაავრცელონ სტამბულის კონვენცია და ახსნან მისი დებულებები და ისიც, თუ რატომ არის ეს დებულებები ასეთი მნიშვნელოვანი. ჩვენი საერთო მიზნის განხორციელების გზაზე მნიშვნელოვანია მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ქალს შეეძლოს იცხოვროს ძალადობისაგან თავისუფალი ცხოვრებით.

*გაბრიელა ბატაინი-დრაგონი,*
*ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე*

## დანართი I

# ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

## (CETS No.210)

სტამბული, 2011 წლის 11 მაისი

## ეამბულა

როსაბჭოს წევრი ქვეყნები და სხვა ამ დოკუმენტზე ხელის მომწერნი,

აენებენ რა ადამიანის უფლებების დაცვის და ფუნდამენტური თავისუფლებების კონვენციას (ETS . 5, 1950) და მის ოქმებს, ევროპის სოციალურ ქარტიას (ETS No. 35, 1961, გადასინჯული 1996 წელს, S No. 163), ევროსაბჭოს კონვენციას ადამიამებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე ETS No. 197, 2005) და ევროსაბჭოს კონვენციას სქესობრივი ექსპლოატაციისაგან და სქესობრივი ლადობისაგან ბავშვთა დაცვაზე (CETS No. 201, 2007);

აენებენ რა მინისტრთა კომიტეტის შემდეგ რეკომენდაციებს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ართ: რეკომენდაცია Rec(2002)5 ძალადობისაგან ქალთა დაცვაზე, რეკომენდაცია CM/Rec.(2007)17 ნდერული თანასწორუფლებიანობის სტანდარტებსა და მექანიზმებზე, რეკომენდაცია *CM/Rec*(2010)10 ნფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში და მშვიდობის ხელშეწყობაში ქალების და კაცების ლზე და სხვა შესაბამის რეკომენდაციებს;

ებენ რა მხედველობაში პრეცედენტებზე აგებული კანონის მზარდ გამოყენებას ადამიანის ლებათა ევროპის სასამართლოში, რომელიც ადგენს მნიშვნელოვან სტანდარტებს ქალთა ნააღმდეგ მიმართული ძალადობის სფეროში;

ევენ რა ანგარიშს საერთაშორისო ხელშეკრულებას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე 56), საერთაშორისო ხელშეკრულებას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე (1966) როს კონვენციას ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრაზე EDAW", 1979) და მის არასავალდებულო ოქმებს (1999), ისევე როგორც *CEDAW*-ს კომისიის ზოგად კომენდაციას *No.* 19 ქალთა წინაღმდეგ მიმართულ ძალადობაზე, გაეროს კონვენციას ბავშვთა ლებებზე (1989) და მის არასავალდებულო ოქმებს (2000) და გაეროს კონვენციას უნარშეზღუდულ რთა უფლებებზე (2006);

ევენ რა ანგარიშს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის საკანონმდებლო ბს (2002);

აენებენ რა საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონების ძირითად პრინციპებს, და განსაკუთრებით ნევის კონვენციას (IV) ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვასთან დაკავშირებით (1949) და ათან დაკავშირებით დამატებით ოქმებს I და II (1977);

იბენ რა ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას;

იარებენ რა რომ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობის დე იურე და დე ქტო რეალიზაცია არის ძირითადი ელემენტი ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ევენციისათვის;

იარებენ რა რომ ძალადობა ქალების მიმართ არის გამოვლინება ქალებსა და კაცებს შორის ტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობებისა, რამაც ავიყვანა კაცების მიერ ქალების დისკრიმინაციასა და მათზე დომინირებამდე და ქალების სრული ითგანხორციელების შესაძლებლობისათვის ხელის შეშლამდე;

იარებენ რა ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას, როგორც ლადობას გენდერულ საფუძველზე და რომ ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა არის თერთი გადამწყვეტი სოციალური მექანიზმი რომელიც ქალებს აყენებს კაცებთან მიმართებით ქვემდებარებულ მდგომარეობაში;

დი წუხილით აღიარებენ რა რომ ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ძალადობის ისეთ რიოზულ ფორმებს როგორც ოჯახში ძალადობა, სქესობრივი დევნა, გაუპატიურება, იძულებითი რწინება, ეგრეთ წოდებული "ღირსების" სახელით ჩადენილი დანაშაულებები და გენიტალიების სახიჩრება, რაც წარმოადგენს ქალების და გოგონების ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას მთავარ დაბრკოლებას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობის მიღწევაში;

იარებენ რა შეიარაღებული კონფლიქტებისას მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევების

მთხვევების არსებობას რაც გავლენას ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი ლებზე, ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური სქესობრივი ძალადობისა და გაუპატიურებების ირმით და გენდერულ საფუძველზე მომხდარი ძალადობის გაზრდილი პოტენციალით როგორც ნფლიქტის დროს ასევე კონფლიქტის შემდეგ;

იარებენ რა რომ ქალები და გოგონები უფრო მეტად ექვემდებარებიან გენდერულ საფუძველზე მხდარი ძალადობის რისკს ვიდრე კაცები;

იარებენ რა რომ ოჯახში ძალადობა გავლენას ახდენს ქალებზე არათანაზომიერად, და რომ კებიც შეიძლება შეიქმნან მსხვერპლნი ოჯახში ძალადობისა;

იარებენ რა რომ ბავშვებიც ხდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, მათ შორის როგორც ჯახში ძალადობის შემთხვევების მოწმეები;

ტვიან რა ისეთი ევროპის შექმნისაკენ რომელიც თავისუფალი იქნება ქალთა წინააღმდეგ მართული და ოჯახში ძალადობისაგან,

თანხმდნენ შემდეგზე:

## ავი I – მიზნები,განსაზღვრებები,თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციაზე არის თქმა, ზოგადი ვალდებულებანი.

ხლი 1 – კონვენციის მიზნები

კონვენციის მიზნებია:

) დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან და აღკვეთოს, სისხლისსამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა ქალების წინააღმდეგ და ოჯახში ძალადობა;

) ხელი შეუწყოს ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებსა და კაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის ჩამოყალიბებას, მათ შორის ქალების გაძლიერების გზით;

) შეიმუშაოს ყოვლისმომცველი ჩარჩოები, პოლიტიკური კურსი და ზომები ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად;

) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;

) მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს ორგანიზაციებს და სამართალდამცავსტრუქტურებს ეფექტურ თანამშრომლობაში,რათა დანერგილ იქნას ინტეგრირებული მიდგომა ქალთა წინააღმდეგ მიმართული და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად.

. მხარეების მიერ მისი დებულებების წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად, ეს კონვენცია აარსებს მონიტორინგის კონკრეტულ მექანიზმს.

ხლი 2 – კონვენციის კომპეტენცია

ეს კონვენცია ეხება ქალის მიმართ ძალადობის ყველა ფორმას,მათ შორის ოჯახში ძალადობას რაც არათანაზომიერ გავლენას ახდენს ქალებზე.

. კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს,რომ ეს კონვენცია გამოიყენონ ოჯახში ძალადობის

ყველა მსხვერპლთან მიმართებაში. ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებების მსხვერპლ ქალებს.

3. ეს კონვენცია მოქმედებს როგორც მშვიდობიანობის დროს ასევე შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში.

მუხლი 3 – განსაზღვრებები

კონვენციის მიზნით:

ა. “ „ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა“ გაგებულია როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ფორმა და გულისხმობს გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოაქვს ან სავარაუდოდ შედეგად შეიძლება მოიტანოს ქალების მიმართ მიყენებული ფიზიკური,სქესობრივი,ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანი ან ტანჯვა,მათ შორის მუქარას ასეთი აქტების ჩადენისა, ძალდატანებას ან თავისუფლების თვითნებურ ხელყოფას, ხდება ეს საზოგადოებაში თუ პირად ცხოვრებაში;

ბ. “ოჯახში ძალადობა” ნიშნავს ყველა ფიზიკურ, სქესობრივ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას რაც ხდება ოჯახში ან ოჯახურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა ან პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად დამნაშავე იზიარებს ან იზიარებდა თუ არა საცხოვრებელს მსხვერპლთან.

გ. “გენდერი” ნიშნავს სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას ან მახასიათებლებს,რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს ქალის ან კაცის მახასიათებლად;

დ. “ქალების წინააღმდეგ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობა” ნიშნავს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას რადგან ის ქალია ან იმას რაც გავლენას ახდენს ქალებზე არათანაზომიერად;

ე. “მსხვერპლი” ნიშნავს ყველა ფიზიკურ ადამიანს რომელიც ექვემდებარება საქციელს კონკრეტიზირებულს პუნქტებში ა და ბ;

ვ. “ქალი” აგრეთვე მოიცავს გოგონებს 18 წლის ასაკის ქვემოთ.

მუხლი 4 – ფუნდამენტური უფლებები, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

1. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველას უფლება, განსაკუთრბით ქალებისა, იცხოვრონ ძალადობისაგან თავისუფალი ცხოვრებით საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

2. მხარეები გმობენ ქალის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციის ყველა ფორმას და დაუყონებლივ იღებენ აუცილებელ საკანონმდებლო და სხვა ზომებს მისი პრევენციისათვის, განსაკუთრებით კი:

თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებსა თუ სხვა შესაბამის კანონმდებლობებში ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაფიქსირებით და ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფით.

ქალის მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვით, მათ შორის სანქციების გამოყენების საშუალებით იქ სადაც ეს მიზანშეწონილია;

იმ კანონებისა თუ პრაქტიკის გაუქმებით რომლებიც ქალს დისკრიმინაციას უწევენ.

3. მხარეების მიერ ამ კონვენციის დებულებების განხორციელება, განსაკუთრებით კი მსხვერპლთაუფლებების დაცვისათვის საჭირო ზომებისა, უნდა უზრუნველყოფილ იქნას ისეთ საფუძვლებზე ყოველგვარი დისცრიმინაციის გარეშე როგორც სქესი, გენდერი, რასა, ფერი, ენა რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებები, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან გაიგივება, ქონება, დაბადების ადგილი, სექსუალური ორიენტაცია გენდერული ვინაობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნარშეზღუდულობა, ქორწინების სტატუსი, მიგრანტის ან ლტოლვილის სტატუსი ან სხვა სტატუსი.

4. სპეციალური ზომები, რომლებიც აუცილებელია გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობისაგან ქალების დაცვისა და ასეთი ძალადობის პრევენციისათვის არ უნდა იყოს

აღქმული როგორც დისკრიმინაცია ამ კონვენციის პირობების ქვეშ.

მუხლი 5 – სახელმწიფოს ვალდებულებანი და სათანადო შემოწმება.

1. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის ნებისმიერ აქტში მონაწილეობისაგან და დადგნენ გარანტად იმისა რომ ქვეყნის ხელისუფლება, ოფიციალური პირები, აგენტები, დაწესებულებები და სხვა პირები რომლებიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად.

2. მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები და ჩაატარონ სათანადო შემოწმება რათა ხელი შეუშალონ, გამოიძიონ, დასაჯონ და აუნაზღაურონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის იმ აქტებისათვის რომლებიც ჩადენილია არა-სახელმწიფო ერთეულების მიერ.

მუხლი 6 – გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა

მხარეებმა უნდა შეიტანონ გენდერული პერსპექტივა ამ კონვენციის დებულებების ზემოქმედების შეფასებასა და განხორციელებაში და ხელი შეუწყონ ქალსა და კაცს შორის თანასწორუფლებიანობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდისაკენ მიმართული პოლიტიკური კურსის პოპულარიზაციასა და წარმატებულ განხორციელებას.

## თავი II – ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება.

მუხლი 7 – ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკა

1. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს რათა შეიმუშაონ და განახორციელონ სახელმწიფო მასშტაბის ეფექტური, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკა რომელიც მოიცავს ყველა შესაბამის ზომას ძალადობის ყველა იმ ფორმის თავიდან ასაცილებლად და დასამარცხებლად რომელსაც ფარავს ამ კონვენციის კომპეტენცია და გასცენ ჰოლიტიკური პასუხი ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას.

2. მხარეები დადგებიან გარანტად იმისა რომ 1 პარაგრაფში მოყვანილი პოლიტიკა დააყენებს მსხვერპლთაუფლებებს ყველა ზომის ცენტრში და განხორციელდება შესაბამის უწყებებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის წარმატებული თანამშრომლობის საფუძველზე.

3. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები უნდა მოიცავდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, ყველა შესაბამის ერთეულს, როგორც მაგ. სამთავრობო უწყებებს, ეროვნულ, რეგიონალურ, ადგილობრივ პარლამენტებსა და ხელისუფლებას, ეროვნულ ადამიანის უფლებებზე მომუშავე დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

მუხლი 8 – ფინანსური რესურსები

მხარეებმა უნდა გამოყონ შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები ინტეგრირებული პოლიტიკის, ზომებისა და პროგრამების ადეკვატური განხორციელებისათვის რათა ხელი შეუშალონ და შეებრძოლონ ძალადობის ყველა იმ ფორმას, რომელსაც ფარავს ამ კონვენციის კომპეტენცია, მათ შორის მათიც რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქლაქო საზოგადოების მიერ.

მუხლი 9 – არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება.

მხარეებმა უნდა აღიარონ, წაახალისონ და მხარი დაუჭირონ, ყველა დონეზე, იმ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალის მიმართ ძალადობას და დაამყარონ შედეგიანი თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებთან.

მუხლი 10 – მაკოორდინირებელი ორგანო

1. მხარეებმა უნდა დანიშნონ ან დაარსონ ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანო რომელიც პასუხისმგებელი იქნება კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე იმ პოლიტიკისა და ზომებისა რომლებიც მიმართულია ამ კონვენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის პრევენციისა და დამარცხებისაკენ.

2. მხარეები უნდა იყვნენ გარანტი იმისა რომ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნულმა ან დაარსებულმა ორგანოებმა მიიღონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია იმ ზომების შესახებ რომლებიც მიღებულია VIII თავის თანახმად.

3. მხარეები უნდა იყვნენ გარანტი იმისა რომ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნულ ან დაარსებულ ორგანოებს გააჩნდეთ სიმძლავრეები დაამყარონ პირდაპირი კავშირი და ხელი შეუწყონ ურთიერთობების განვითარებას სხვა მხარეების წარმომადგენელ თავიანთ კოლეგებთან.

უხლი 11 – მონაცემთა შეგროვება და კვლევა.

1. ამ კონვენციის განხორციელების მიზნით მხარეები მზად არიან:

ა. რეგულარულ ინტერვალებში შეაგროვონ დეტალიზირებული შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე;

ბ. მხარი დაუჭირონ კვლევას ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის სფეროში რათა შესწავლილ იქნას მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები,შემთხვევათა რაოდენობა და მსჯავრდებულთა რაოდენობა,ისევე როგორც იმ ზომების ეფექტურობა რომლებიც მიღებულ იქნა ამ კონვენციის განსახორციელებლად.

2. მხარეები შეეცდებიან ჩაატარონ მოსახლეობაზე დაფუძნებული გამოკვლევები რეგულარული ინტერვალებით რათა შეაფასონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდეციები.

3. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ექსპერტთა ჯგუფები,როგორც ეს მოხსენიებულია ამ კონვენციის 66 მუხლში,ამ მუხლის თანახმად შეგროვებული ინფორმაციით საერთაშორისო თანამშრომლობის სტიმულაციისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ეტალონების შესაქმნელად.

4. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

## ავი III – პრევენცია

უხლი 12 – ზოგადი ვალდებულებანი.

1. მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს რათა ხელი შეუწყონ ქალისა და კაცის სოციალური და კულტურული ქცევის ნიმუშების ცვლილებას რათა აღმოფხვრილ იქნას ის ცრურწმენები,ჩვეევები ტრადიციები და სხვა პრაქტიკა რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალებისა და კაცების სტერეოტიპულ როლებს.

2. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის, ჩადენილის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, პრევენციისათვის.

3. ნებისმიერი ზომა რომელიც მიღებულ იქნება ამ თავის შესაბამისად მხედველობაში მიიღებს და კონკრეტულ საჭიროებებს მოაგვარებს იმ პირებისა, რომლებიც გარკვეულმა გარემოებებმა მოწყვლადი გახადა და ყველა მსხვერპლის უფლებებს ამ ზომების ცენტრში მოაქცევს.

4. მხარეები მიიღებენ საჭირო ზომებს საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით კაცების და ბიჭების წასახალისებლად,რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის პრევენციაში.

5. მხარეები იქნებიან გარანტი იმისა რომ კულტურა, ჩვეები, რელიგია, ტრადიციები და ეგრეთ წოდებული "ღირსება" არ იქნება მიჩნეული გამართლებად ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ნებისმიერი აქტისათვის.

6. მხარეები მიიღებენ საჭირო ზომებს ქალებისათვის უფლებამოსილების მინიჭებისათვის განხორციელებული პროგრამებისა და საქმიანობის ხელშესაწყობად.

უხლი 13 – ცნობიერების ამაღლება

1. მხარეები ხელს შეუწუობენ ან ჩაატარებენ, რეგულარულ საფუძველზე და ყველა დონეზე,

ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ კამპანიებსა და პროგრამებს, მათ შორის ეროვნულ ადამიანის უფლებების დამცველ ინსტიტუტებთან და თანასწორუფლებიანობის ორგანოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სადაც ეს მიზანშეწონილია, იმისათვის რათა აამაღლონ ფართო საზოგადოების ცნობიერება და ხედვა ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის გამოვლინების მიმართ, მათი უარყოფითი შედეგებისა ბავშვებზე და ასეთი ძალადობის პრევენციის საჭიროებაზე.

. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის აქტების პრევენციისათვის საჭირო არსებულ ზომებზე სრული ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის.

ხლი 14 – განათლება

. მხარეებმა უნდა გადადგან, სადაც ეს მიზანშეწონილია, აუცილებელი ნაბიჯები სასწავლო მასალის, ადაპტირებულის მოსწავლეთა მზარდ შესაძლებლობებზე, ისეთ საკითხებზე როგორც თანასწორუფლებიანობა ქალებსა და კაცებს შორის, არასტერეოტიპული გენდერული როლები ურთიერთპატივისცემა, პიროვნულ ურთიერთობებში კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაწყვეტა, ქალთა წინააღმდეგ გენდერულ საფუძველზე განხორციელებული ძალადობა და უფლება პიროვნულ პატიოსნებაზე, სავალდებულო სასწავლო კურიკულუმებში ჩასართავად განათლების ყველა საფეხურზე.

. მხარეები გადადგამენ აუცილებელ ნაბიჯებს 1 პარაგრაფში მოხსენიებული პრინციპების განხორციელების ხელშესაწყობად არაოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისევე როგორც სპორტულ, კულტურულ და დასვენების ადგილებში და მასმედიაში.

ხლი 15 – პროფესიული ტრეინინგი

. მხარეებმა უნდა ჩაუტარონ ან გაუუმჯობესონ ტრეინინგები შესაბამის პროფესიონალებს, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ტიპის ძალადობის აქტის მსხვერპლთან ან ჩამდენთან იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთი ძალადობის პრევენცია და აღმოჩენა, ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობაზე, მსხვერპლთასაჭიროებებსა და უფლებებზე აგრეთვე იმაზე თუ როგორ ავიცილოთ ხელახალი ძალადობა.

. მხარეები უნდა ეცადნენ, რომ 1 პარაგრაფში მოხსენიებული ტრეინინგები აგრეთვე მოიცავდეს ტრეინინგებს კოორდინირებულ მრავალუწყებრივ თანამშრომლობაზე,რათა შესაძლებელი გახდეს მიმართვიანობის შესაბამისი ორგანიზაცია ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის შემთხვევებისას.

უხლი 16 – პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამები

. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს რათა შექმნან ან მხარი დაუჭირონ ისეთ პროგრამებს, რომელთა მიზანია გამოუმუშაოს ოჯახში ძალადობის ჩამდენთ არაძალადობრივი ქცევა ადამიანთა შორის ურთიერთობებში,მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ნიმუშების შეცვლის მიზნით.

. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს რათა შექმნან ან მხარი დაუჭირონ სამკურნალო პროგრამებს, რომელთა მიზანია ხელი შეუშალოს დამნაშავეებს, განსაკუთრებით სქესობრივ მოძალადეებს, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაში.

. 1 და 2 პარაგრაფებში მოხსენიებული ზომების მიღებით, მხარეები დგებიან გარანტად იმისა რომ მსხვერპლთაუსაფრთხოება, მხარდაჭერა და ადამიანის უფლებები გახდება ზრუნვის უმნიშვნელოვანესი საგანი და რომ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ეს პროგრამები შეიქმნება და განხორციელდება მსხვერპლთასპეციალიზირებულ მხარდამჭერ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით.

ხლი 17 – კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობა

. მხარეები მოუწოდებენ კერძო სექტორს, საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სექტორს და მასმედიას,მათ მიერ აზრის თავისუფალი გამოხატვისა და მათი დამოუკიდებლობის სრული პატივისცემით, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ისევე როგორც სახელმძღვანელოებისა და თვითმარეგულირებელი სტანდარტების ჩამოყალიბებაში

ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და მათი ღირსების უფრო მეტად დასაფასებლად.

2. მხარეები განუვითარებენ და ხელს შეუწყობენ ისეთი ჩვევების განვითარებას, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, ბავშვებში, მშობლებსა თუ პედაგოგებში, რომლებიც დაეხმარება მათ უკეთ გაუმკლავდნენ ისეთ საინფორმაციო და საკომუნიკაციო გარემოს რომელიც იოლად ხელმისაწვდომს ხდის სქესობრივი ან ძალადობრივი ხასიათის დამაკნინებელ შინაარსს რაც შესაძლოა საზიანო გამოდგეს.

## ავი IV – დაცვა და მხარდაჭერა

ჯხლი 18 – ზოგადი ვალდებულებანი

1. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს მსხვერპლთადასაცავად ძალადობის შემდგომი აქტებისაგან.

2. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს, ქვეყნის შიდა კანონების შესაბამისად, ისეთი სათანადო მექანიზმების უზრუნველსაყოფად, რომლებიც საჭიროა ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების შედეგიანი თანამშრომლობისათვის,მათ შორის მოსამართლეების სამოქალაქო ბრალმდებლების, ძალოვანი სტრუქტურების, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ისევე როგორც არასამთავრობო უწყებებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა დასაცავად და მხარდასაჭერად, მათ შორის მათი მიმართვით ზოგად და სპეციალიზირებულ მხარდამჭერ სამსახურებზე როგორც ეს დეტალურად არის მითითებული ამ კონვენციის 20 და 22 მუხლებში.

3. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რომ ამ თავის შესაბამისად მიღებული ზომები:

- ეფუძნებოდეს ქალთა წინააღმდეგ მიმართული და ოჯახში ძალადობის გენდერულ გაგებას და ყურადღებას ამახვლებდეს მსხვერპლის უფლებებსა და უსაფრთხოებაზე.

- ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ მიდგომას რომელიც მხედველობაში მიიღებს მსხვერპლის, დამნაშავეების, ბავშვების და მათი უფრო ფართო სოციალური გარემოს შორის ურთიერთობას;

- მიზნად ისახავდეს ხელახალი ძალადობის თავიდან აცილებას;

- მიზნად ისახავდეს ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის უფლებამოსილების მინიჭებას და მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას;

- ნებას რთავდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, რიგი დამცავი და მხარდამჭერი სამსახურების განლაგებას ერთი და იგივე უძრავ ქონებაზე.

- ეხმიანებოდეს სოციალურად დაუცველი ადამიანების კონკრეტულ საჭიროებებს, მათ შორის მსხვერპლიბავშვებისა, და მათთვის ხელმისაწვდომი იყოს.

4. მომსახურების გაწევა არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლისმზადყოფნაზე დასდოს ბრალი ან მისცეს ჩვენება დამნაშავის წინააღმდეგ.

5. მხარეებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები რათა აღმოუჩინონ საკონსულო ან სხვა ტიპის დაცვა და მხარდაჭერა თავიანთი ქვეყნის ქვეშევრდომ პირებს და სხვა მსხვერპლისრომლებსაც ასეთი დაცვის უფლება გააჩნიათ, საერთაშორისო კანონის ქვეშ მათი ვალდებულებების შესაბამისად.

ჯხლი 19 – ინფორმაცია

იარეები მიიღებენ საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომებს რათა უზრუნველყონ რომ ასხვერპლმამიიღონ ადეკვატური და დროული ინფორმაცია არსებულ მხარდამჭერ მომსახურებასა ა იურიდიულ საშუალებებზე იმ ენაზე რომელიც მათ ესმით.

ჯხლი 20 – ზოგადი მხარდამჭერი მომსახურება

1. მხარეებმა უნდა მიიღონ საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმისათვის რომ დაზარალებულებს ხელი მიუწვდებოდეთ ისეთ მომსახურებაზე რომელიც მათ დაეხმარება ძალადობით მიყენებული ტრავმის გადალახვაში. ეს ზომებია, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი მომსახურება როგორიცაა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფრით უზრუნველყოფა, განათლება, ტრეინინგები, დახმარება დასაქმებაში.

2. მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი კანონმდებლობითი თუ სხვა ზომები რათა დაზარალებულებს

ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სამედიცინო და სოციალური მომსახურება და რომ ეს სამსახურე დაკომპლექტებული იყოს ადეკვატური რესურსებით, აგრეთვე მომზადდეს პროფესიონალე რომლებიც დაეხმარებიან მსხვერპლებსდა მიმართავენ მათ შესაბამის სამსახურებში.

ლი 21 – დახმარება ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების შედგენაში.

ეები უზრნველყოფენ მსხვერპლთამიერ ინფორმაციის ქონას და ხელმისაწვდომობ ონალური და საერთაშორისო ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების მექანიზმებ ეები გვერდში დაუდგებიან მსხვერპლებსდა გამოიჩენენ ყურადღებასა და ცოდნას დახმარებ იჩენისას ასეთი საჩივრების პრეზენტაციის დროს.

ლი 22 – დამხმარე მომსახურება სპეციალისტების მიერ.

მხარეები მიიღებენ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომებს ამ კონვენციის კომპეტენციი მოცული ძალადობის ნებისმიერი აქტის მსხვერპლისათვის სპეციალისტების მიერ გადაუდებე მოკლე და გრძელვადიანი დამხმარე მომსახურების მიწოდების ან მიწოდების უზრუნველყოფ მიზნით.

მხარეები მიაწვდიან ან უზრუნველყოფენ სპეციალისტთა მიერ ქალთა დამხმარე მომსახურებ მიწოდებას ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისა და მათი ბავშვებისათვის.

ლი 23 - თავშესაფრები

ეები მიიღებენ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომებს საკმარისი რაოდენობის შესაფერი ადვილად ხელმისაწვდომი თავშესაფრების გასამართად მსხვერპლთათვის, განსაკუთრებ ებისა და ბავშვებისათვის,უსაფრთხო საცხოვრებლებისა და მათთან პროაქტიური ურთიერთობ უნველსაყოფად.

ლი 24 – სატელეფონო დახმარების ხაზები

ეები მიიღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს 24 საათიანი (24/ სო სატელეფონო დახმარების ხაზების მოსაწყობად მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებ ვიდენციალურად ან ანონიმურობის დაცვით კონსულტაციებს გაუწევენ მსურველებს, ვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით.

ლი 25 –სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა დახმარება

ეები მიიღებენ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომებს მსხვერპლთათვისსაკმარი დენობის,შესაფერისი და ადვილად ხელმისაწვდომი გაუპატიურებულთა დახმარების და სქესობრი ადობის რეფერალური ცენტრების მოსაწყობად სამედიცინო და სასამართლო სამედიცი ოწმებების ჩასატარებლადტრავმების დროს დასახმარებლად და მსხვერპლთათვისკონსულტაციებ წევად.

ლი 26 – ძალადობის მოწმე ბავშვების დაცვა და დახმარება

მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები რათა მსხვერპლთადაცვი და დახამრების აღმოჩენისას სათანადო ყურადღება მიექცეს ამ კონვენციის ფარგლებშიმოცულ ძალადობის ყველა ფორმის არასრულწლოვანი მოწმეების უფლებებსა და საჭიროებებს.

ამ თავის შესაბამისად მიღებული ზომები უნდა მოიცავდეს ასაკის შესაფერის ფსიქოლოგიუ კონსულტაციებს ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის მოწ ბავშვებისათვის და აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესოინტერესებს.

ლი 27 – შეტყობინება

ეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა რათა წაახალისონ ნებისმიერი ადამიანი, მისცეს ჩვენე სიას ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის აქტებზე ანდა ადამიანმა, რომელსა ნია დასაბუთებული ეჭვი (ვარაუდი)სჯეროდეს რომ ასეთ აქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილ ომ მოსალოდნელია ძალადობის შემდგომი აქტები, შეატყობინოს ამის შესახებ კომპეტენტუ ანიზაციებსა ან ხელისუფლებას.

ხლი 28 – შეტყობინება პროფესიონალების მიერ

არეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად,რომ კონფიდენციალურობის
ცვის წესებმა, რომლებსაც ქვეყნის შიდა კანონები უწესებს ზოგიერთ პროფესიოალს, ხელი
შეუშალოს მათ, შესაბამისი გარემოებების ქვეშ, შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანიზაციებს
ხელისუფლებას როცა მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვები ივარაუდონ რომ ამ კონვენციის
მპეტენცით მოცული ძალადობის სერიოზული აქტი იქნა ჩადენილი და რომ მოსალოდნელია
ლადობის შემდგომი სერიოზული აქტები.

## ავი V – არსებითი (ძირითადი) კანონი

ხლი 29 – სამოქალაქო სარჩელები და საშუალებანი

. მხარეები მიიღებენ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომებს დამნაშავეების წინააღმდეგ მსხვერპლთა ადეკვატური სამოქალაქო საშუალებებითუზრუნველსაყოფად .

. მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს რათა უზრუნველყონ მსხვერპლები,საერთაშორისო კანონის ზოგადი პრინციპების თანახმად,ადეკვატური სამოქალაქო საშუალებებით სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ რომელმაც ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა მიეღო აუცილებელი პრევენციული ან დამცავი ზომები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ხლი 30 – კომპენსაცია

. მხარეები მიიღებენ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომებს რათა უზრუნველყონ მსხვერპლთაუფლება მოითხოვონ კომპენსაცია დამნაშავეებისაგან ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის.

. ადეკვატური სახელმწიფო კომპენსაცია უნდა გადაეცეს მათ ვინც მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანება ან შეერყა ჯანმრთელობა, იმ დონეზე რომ მიყენებული ზიანი ვერ იფარება სხვა წყაროებით,როგორც მაგ. დამნაშავის მიერ,დაზღვევით ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო და სოციალური დახმარებით. ეს ხელს არ უშლის მხარეებს მოითხოვონ რეგრესი დამნაშავისგან მიღებული კომპენსაციისათვის, თუ ეს რისკის ქვეშ არ აყენებს მსხვერპლისუსაფრთხოებას.

. 2 პარაგრაფის შესაბამისად მიღებულმა ზომებმა უნდა უზრუნველყოს კომპენსაციის გაცემა სასურველი დროის განმავლობაში.

ხლი 31 – მეურვეობა,მონახულების უფლებები და უსაფრთხოება

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები რათა ამ კონვენციის ფარგლებშიმოცული ძალადობის შემთხვევები მხედველობაში იქნას მიღებული ბავშვთა მონახულების ან მათი მეურვეობის უფლებების განსაზღვრისას.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ მონახულებისა და მეურვეობის გამოყენების უფლებები საფრთხეს არ უქმნიდეს მსხვერპლისა ბავშვების უფლებებსა და უსაფრთხოებას.

ხლი 32 – იძულებითი ქორწინების სამოქალაქო შედეგები.

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები,რათა უზრუნველყონ,რომ
ულებით თავს მოხვეული ქორწინებები იყოს გაუქმებადი ან ანულირებადი და მსხვერპლსარ
ეკისროს შეუსაბამო ფინანსური ან ადმინისტრაციული ტვირთი.

ხლი 33 – ფსიქოლოგიური ძალადობა

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
ომ წინასწარ განზრახული ქმედება მიმართული ადამიანისათვის ფსიქოლოგიური ტრავმის
საყენებლად იძულებისა ან მუქარის საშუალებით კრიმინალიზირებული იყოს.

ხლი 34 – დევნა/

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
ომ წინასწარ განზრახული ქმედება მეორე პირისადმი მიმართული გამეორებადი მუქარის სახით

ამელიც მას შიშის გრძნობას უჩენს საკუთარი უსაფრთხოების კუთხით, კრიმინალიზირებულ
ის.

ხლი 35 – ფიზიკური ძალადობა

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
ამ წინასწარ განზრახული ქმედება მეორე პირის მიმართ ფიზიკური ძალადობის აქტების ჩადენისა
იმინალიზირებული იყოს.

ხლი 36 – სქესობრივი ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
რომ ქვემოთ ჩამოთვლილი წინასწარ განზრახული ქმედებანი კრიმინალიზირებული იყოს:

. სხვა ადამიანის სხეულთან სქესობრივი ბუნების არაკონსენსუალურ ვაგინალურ, ანალურ ან
ორალურ კავშირში შესვლა სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან რაიმე საგნით;

. სხვა ადამიანთან სქესობრივი ბუნების სხვა არაკონსენსუალურ აქტებში შესვლა

. სხვა ადამიანის წაქეზება მესამე ადამიანთან სქესობრივი ბუნების არაკონსენსუალურ აქტებში
შესვლაზე.

. თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, როგორც შედეგი პიროვნების სურვილის თავისუფალი
გამოხატვისა არსებული გარემოებების კონტექსტში შეფასებული.

. ხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
რომ 1 პარაგრაფის დებულებები აგრეთვე გამოყენებულ იყოს იმ აქტების მიმართ, რომლებიც
ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ როგორც ეს
დადგენილია ქვეყნის შიდა კანონით.

ხლი 37 – იძულებითი ქორწინება.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ ახვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
რომ წინასწარ განზრახული ქმედება მიმართული მოზრდილი ადამიანის ან ბავშვის იძულებისაკენ
შევიდეს ქორწინებაში, კრიმინალიზირებულ იყოს.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
რომ წინასწარ განზრახული ქმედება მიმართული მოზრდილი ადამიანის ან ბავშვის შეტყუებისაკენ
არა იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე სადაც ის ცხოვრობს ამ მოზრდილი ადამიანის
ან ბავშვის იძულებით ქორწინებაში შეყვანის მიზნით იყოს კრიმინალიზირებული.

ხლი 38 – ქალის გენიტალიების დასახიჩრება

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
ამ ქვემოთ ჩამოთვლილი წინასწარ განზრახული ქმედებანი იყოს კრიმინალიზირებული

ა. ქალის დიდი სასქესო ბაგის (labia majora), მცირე სასქესო ბაგის (labia minora) ან კლიტორის
(clitoris) ნაწილობრივ ან ამოჭრის, ინფიბულაციის ან სხვა ტიპის დასახიჩრების განხორციელება

ბ. იძულება ან გარიგება ქალისა ა პუნქტში ჩამოთვლილი აქტების შესასრულებლად;
გ. წაქეზება, იძულება ან გარიგება გოგოსი ა პუნქტში ჩამოთვლილი აქტების შესარულებლად.

ხლი 39 – იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია

მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
რომ შემდგომი წინასწარ განზრახული ქმედება იყოს კრიმინალიზირებული:

ა. ქალისათვის აბორტის გაკეთება მისგან წინასწარ ინფორმირებული თანხმობის გარეშე;

ბ. ისეთი ოპერაციის ჩატარება, რომლის მიზანი ან შედეგია ქალის ბუნებრივად აღწარმოების
უნარის ტერმინაცია მის მიერ წინასწარ ინფორმირებული თანხმობისა ან პროცედურის
გააზრების გარეშე.

ხლი 40 – სქესობრივი შევიწროვება

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
ამ ნებისმიერი ფორმა არასასურველი სიტყვიერი (ვერბალური) ან არა-სიტყვიერი ან ფიზიკური

ესობრივი ბუნების ქმედებისა, რომლის მიზანი და შედეგია ადამიანის ღირსების შელახვა, მით
ეტეს თუ ეს ხდება დამაშინებელ, მტრულ, დამაკნინებელ ან დამამცირებელ აგრესიულ გარემოში
აექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სანქციებს.

ხლი 41 – ხელის შეწყობა ან თანამონაწილეობა და მცდელობა.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა დაადგინონ დანაშაულად, თუ ეს ჩადენილია წინასწარ განზრახულად, ხელის შეწყობა ან თანამონაწილეობა იმ დანაშაულთა ჩადენაში, რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის 33, 34, 35, 36, 37, 38 ა და 39 მუხლების შესაბამისად.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა დაადგინონ დანაშაულად, თუ ჩადენილია წინასწარ განზრახულად, იმ დანაშაულთა ჩადენის მცდელობები რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის 35, 36, 37, 38 ა, და 39 მუხლების შესაბამისად.

ხლი 42 – მიუღებელი გამართლებანი ჩადენილ დანაშაულთათვის, მათ შორის დანაშაულთათვის ომლებიც ჩადენილია ეგრეთ წოდებული "ღირსების" სახელით.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ სისხლის სამართლის იმ სასამართლო პროცესებზე, რომლებიც აღძრულია ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ნებისმიერი ძალადობრივი აქტის ჩადენის შედეგად,კულტურული,ჩვევებთან რელიგიასთან, ტრადიციებთან ან ეგრეთ წოდებულ "ღირსების" მცნებასთან დაკავშირებული მოსაზრებები არ უნდა იყოს მიჩნეული ასეთი აქტების გამართლებად. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მტკიცებებს რომ მსხვერპლმადაარღვია შესაბამისი კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ქცევის ნორმები ან ჩვევები.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ ნებისმიერი პირის მიერ ბავშვის წაქეზება ჩაიდინოს ნებისმიერი აქტი მოხსენიებული 1 პარაგრაფში არ ამცირებს ამ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩადენილი აქტებისათვის.

ხლი 43 – სისხლის სამართლის გამოყენება ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში

სისხლის სამართლის გამოყენება ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულებებისათვის მოხდება მიუხედავად ნათესავური ურთიერთობის ბუნებისა მსხვერპლსადა დამნაშავეს შორის.

ხლი 44 – იურისდიქცია

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა მოაქციონ საკუთარი იურისდიქციის ქვეშ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაული როდესაც ასეთი დანაშაული ხდება:

. მათ ტერიტორიაზე, ან

. მათი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდზე, ან

. მათი ქვეყნის კანონით დარეგისტრირებული თვითმფრინავის ბორტზე; ან

. მათი ქვეყნის მოქალქეებისმიერ; ან

. პირის მიერ, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს ამ ქვეყანაში.

. მხარეები ეცდებიან მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა მოაქციონ საკუთარი იურისდიქციის ქვეშ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაული როდესაც დანაშაული ჩადენილია მათი ქვეყნის მოქალაქის ან იმ პირის მიმართ, რომელიც მუდმივადმათ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

. ამ კონვენციის 36, 37, 38 და 39 მუხლების შესაბამისად დადგენილი დანაშაულებების სისხლისსამართლებრივიდევნისათვის მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ მათი იურისდიქცია არ იყოს დაქვენდებარებაში მოსული იმ პირობასთან რომ აქტების კრიმინალიზირება მოხდა იმ ტერიტორიაზე სადაც ისინი იყო ჩადენილი.

. ამ კონვენციის 36, 37, 38 და 39 მუხლების შესაბამისად დადგენილი დანაშაულებების სისხლისსამართლებრივიდევნისათვის მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო

ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ მათი იურისდიქცია, 1 პარაგრაფის დ და ე პუნქტების თვალსაზღისით, არ იყოს დაქვემდებარებაში მოსული იმ პირობასთან რომ სისხლისსამართლებრივიდევნის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლის მიერ შეტყობინების შემდეგ ან იმ სახელმწიფოს მიერ ინფორმასციის მოწოდების შემდეგ სადაც დანაშაული იყო ჩადენილი.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები რათა საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოაქციონ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულებები, იმ შემთხვევებში როდესაც სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მათ ტერიტორიაზე და ისინი არ ახდენენ მის ექსტრადირებას მეორე მხარისათვის, მხოლოდ მისი ეროვნების საფუძველზე.

. როდესაც ერთ მხარეზე მეტს გააჩნია პრეტენზია ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ სავარაუდო დანაშაულზე იურისდიქციის ქონაზე,ჩაბმულმა მხარეებმა,სადაც ეს მიზანშეწონილი უნდა ჩაატარონ ერთმანეთთან კონსულტაციები რათა განსაზღვრონ ბრალდებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი იურისდიქცია.

. საერთაშორისო კანონის ზოგადი წესებისადმი ზიანის მიუყენებლად, ეს კონვენცია არ გამორიცხავს მხარის მიერ განხორციელებულ არანაირ სისხლის სამართლის იურისდიქციას მისი შიდა კანონის შესაბამისად.

უხლი 45 – სანქციები და ზომები

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვაზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულებები იყოს დასჯადი ეფექტური, თანაზომიერი და გადამაფიქრებელი სანქციების მეშვეობით, გამომდინარე მათი სერიოზულობიდან. ეს სანქციები უნდა მოიცავდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, თავისუფლების აღკვეთას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ექსტრადიცია.

2. დამნაშავეებთან დაკავშირებით მხარეებმა შეიძლება მიიღონ სხვა ზომებიც, კერძოდ:

- მსჯავრდებული პირების მონიტორინგი და ზედამხედველობა;

- მშობლის უფლების ჩამორთმევა, თუ ბავშვის საუკეთესოინტერესები, მათ შორის მსხვერპლისუსაფრთხოება, სხვანაირად ვერანაირად ვერ იქნება გარანტირებული.

ხლი 46 – დამამძიმებელი გარემოებანი

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად ომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ ქმნიან დანაშულის მადგენელი ელემენტების ნაწილს, შეიძლება, შიდა კანონის შესაბამისი დებულებების თანახმად ოს მიღებული მხედველობაში როგორც დამამძიმებელი გარემოებანი ამ კონვენციით დადგენილი ნაშაულებების მიმართ განაჩენის განსაზღვრის დროს, თუ:

ა. დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ,როგორც ამას აღიარებს შიდა კანონი,ოჯახის წევრის მიერ,პირის მიერ რომელიც მსხვერპლთანერთად ცხოვრობდა, ან პირის მიერ რომელმაც ბოროტად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება.

ბ. დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილ იქნა არაერთხელ:

გ. დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ,რომელიც გარკვეული გარემოებების გამო დაუცველი ხდა;

დ. დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით;

ე. დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთობლივად;

ვ. დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესი დონის ძალადობა;

ზ. დანაშაული ჩადენილი იყო იარაღის ან იარაღის მუქარის გამოყენებით;

თ. დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;

ი. დამნაშავე წინათაც ყოფილა მსჯავრდებული მსგავსი ხასიათის დანაშაულებებისათვის.

ხლი 47 – კონვენციის წევრი სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილი განაჩენი

 არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები რომ განაჩენის განსაზღვრისას ათვალისწინონ შესაძლებლობა მხედველობაში მიიღონ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ ნაშაულებებთან დაკავშირებული კონვენციის წევრის სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილი ბოლოო განაჩენები.

ხლი 48 – დავების გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიული პროცესების ან განაჩენის მოტანის აკრძალვა.

მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა აიკრძალოს დავების გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიული პროცესები, მათ შორის შუამავლობა, შერიგება, ამ კონვენციის ფარგლებში შემავალი ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებით.

მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ თუ დამნაშავეს დაეკისრა ჯარიმა, სათანადო ყურადღება მიექცეს დამნაშავის უნარს იკისროს ფინანსური ვალდებულებანი მსხვერპლისწინაშე.

## ავი VI – გამოძიება, სისხლისსამართლებრივიდევნა, პროცესუალური კანონი ა დამცველი ზომები.

ხლი 49 – ზოგადი ვალდებულებანი

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ გამოძიებები და სასამართლო წარმოება ამ კონვენციის ფარგლებში შემავალი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით იყოს განხორციელებული გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და მხედველობაში იქნას მიღებული მსხვერპლისუფლებები სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ყოველ სტადიაზე.
2. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები, ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების თანახმად და ძალადობის გენდერული გაგების გათვალისწინებით, ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულებათა წარმატებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივიდევნის უზრნველსაყოფად.

ხლი 50 – დაუყონებლივი რეაგირება, პრევენცია და დაცვა

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ პასუხისმგებელმა სამართალდამცავმაუწყებებმა სწრაფი და სათანადო რეაგირება მოახდინონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობაზე მსხვერპლთათვისდაუყონებლივი და ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფით.
2. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ პასუხისმგებელი სამართალდამცავისტრუქტურები სწრაფად და სათანადოდ ჩაებან ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ყველა ფორმის ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვაში, მათ შორის პრევენციული ოპერატიული ზომების განხორციელებასა და მტკიცებულებისმოგროვებაში.

ხლი 51 – რისკის შეფასება და რისკის მართვა.

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ ლეტალურობის რისკის,სიტუაციის სერიოზულობის და განმეორებითი ძალადობის რისკის შეფასება მოხდეს ხელისუფლების ყველა შესაბამისი რგოლის მიერ რისკის მართვისა და,თუ ეს აუცილებელია, კოორდინირებული უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით.
2. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ 1 პარაგრაფში მოხსენიებულმა შეფასებამ ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს, გამოძიებისა და დამცავი ზომების გამოყენების ყველა სტადიაზე, იმ ფაქტს რომ ამ კონვენციის ფარგლებში შემავალიძალადობის აქტების ჩამდენნი ფლობენ ან შეიძლება ხელი მიუწვდებოდეთ ცეცხლსასროლ იარაღზე.

ხლი 52 – შემაკავებელი ორდერი

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად ამ ხელისუფლების კომპეტენტურ პირებს მიენიჭოთ უფლება უბრძანონ, უშუალო საფრთხის მთხვევაში,ოჯახში ძალადობის ჩამდენს მსხვერპლისან რისკის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებლის

თავისუფლება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით და აუკრძალონ დამნაშავეს მსხვერპლთანან
ისკის ქვეშ მყოფ პიროვნებასთან კონტაქტი ან მათ საცხოვრებელში შესვლა. ამ მუხლის
საბამისად მიღებული ზომები პრიორიტეტს მიანიჭებს მსხვერპლთაან რისკის ქვეშ მყოფ პირთა
აფრთხოებას.

უხლი 53 – დამცავი ორდერი

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლისათვის შესაბამისი დამცავი ორდერის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ 1 პარაგრაფში მოხსენიებული დამცავი ორდერებიიყოს:

   - ხელმისაწვდომი დაუყონებლივი დაცვის მისაღებად და მსხვერპლსარ აკისრებდეს შეუსაბამო ფინანსურ და ადმინისტრაციულ ტვირთს;
   - გაცემული კონკრეტული პერიოდით ან მათ მოდიფიცირებამდე ან შესრულებამდე;
   - სადაც ეს აუცილებელია, გაცემული ex parte საფუძველზე დაუყონებლივი შედეგის უზრუნველსაყოფად;
   - ხელმისაწვდომი მიუხედვად, ან დამატებით, სხვა სამართლებრივი პროცედურებისა;
   - ნებადართული შეტანილ იქნეს შემდგომ სასამართლო პროცესებზე.

3. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ 1 პარაგრაფის შესაბამისად გაცემული დამცავი ორდერებისდარღვევა დაექვემდებაროს ეფექტურ,თანაზომიერ და სათანადოსისხლის სამართლის ან სხვა სამართლებრივ სანქციებს

ხლი 54 – გამოძიება და მტკიცებულება

არეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად
იმ,ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესისას,ჩვენება რომელიც
ება მსხვერპლისსქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას ნებადართულ იქნას
ოლოდ თუ ეს შესაბამისი და აუცილებელია.

ხლი 55 – **ex parte** და **ex officio** სასამართლო პროცესები

. მხარეები უნდა დადგნენ იმის გარანტად რომ ამ კონვენციის 35, 36, 37, 38 და 39 მუხლების შესაბამისად დადგენილ დანაშაულებათა გამოძიება ან სასამართლო დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლისმიერ შედგენილ საჩივარზე ან შეტყობინებაზე თუ დანაშაული ჩადენილ იქნა მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე, და რომ სასამართლო გამოძიება გაგრძელდეს მაშინაც კი თუ მსხვერპლისუკან წაიღებს განცხადებას ან საჩივარს.

. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო ან სხვა ზომები რათა, მათი შიდა კანონების პირობების გათვალისწინებით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და ოჯახში ძალადობის კონსულტანტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ დაეხმარონ და/ან მხარი დაუჭირონ მსხვერპლებს, მათი თხოვნის შესაბამისად, იმ გამოძიებებსა და სასამართლო პროცესებში, რომლებიც ეხება ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულებებს.

უხლი 56 – დაცვის ზომები

1. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭიროსაკანონმდებლო თუ სხვა ზომები რათა დაიცვან მსხვერპლთა უფლებები და ინტერესები, მათ შორის მათი როგორც მოწმეების კონკრეტული საჭიროებანი, გამოძიებებისა და სასამართლო წარმოებების ყოველ სტადიაზე, განსაკუთრებით კი:

მათი, ისევე როგორც მათი ოჯახებისა და მოწმეების დაცვის უზრუნველყოფით, დაშინებით რისძიებისა და განმეორებითი თავდასხმებისაგან;

მსხვერპლთაინფორმირებით, ყოველ შემთხვევაში როდესაც მსხვერპლებსადა მათ ოჯახებს ექრება საფრთხე,რადგან დამნაშავე გაიქცა ციხიდან ან გაათავისუფლეს დროებით ან საბოლოოდ

ინფორმაციის მიწოდებით,ქვეყნის შიდა კანონის მიერ განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით ო უფლებებზე და იმ მომსახურებებზე, რომლებიც მათ შეუძლიათ მიიღონ, ისევე როგორც მათი ჰივრის მსვლელობაზე, საურავებზე, გამოძიების ან სასამართლო წარმოების ზოგად პროგრესზე და ასთან დაკავშირებით მათ როლზე, აგრეთვე მათ მიერ აღძრული საქმის შედეგებზე;

მსხვერპლთათვისსაშუალების მიცემით,ქვეყნის შიდა კანონის პროცედურული წესების შესაბამისად ენ მოსმენილნი, მისცენ ჩვენება და გამოხატონ აზრები, წუხილები და საჭიროებები – პირდაპირ შუამავლის საშუალებით, ხოლო მათი მოსაზრებები - განხილულნი;

მსხვერპლთათვისსათანადო დამხმარე მომსახურების უზრუნველყოფით, რათა მათი უფლებები და ჰერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი;

ხომების უზრუნველყოფით მსხვერპლისსაიდუმლოს და იმიჯის დასაცავად;

იმის უზრუნველყოფით რომ, სადაც კი ეს შესაძლებელია, სასამართლოსა თუ სამართალდამცავი ყებების შენობებში, მოხდეს მსხვერპლებსადა დამნაშავეებს შორის კონტაქტების აცილება;

დაზარალებულების დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნებით უზრუნველყოფით,როდესაც ზარალებულები მონაწილეობენ სასამართლო პროცესებში ან როდესაც ისინი იძლევიან ჩვენებას

მსხვერპლთათვისსაშუალების უზრუნველყოფით, მათი შიდა კანონებით განსაზღვრული წესების საბამისად, მისცენ ჩვენება სასამართლოს ოთახში დაუსწრებლად ან მაშინ, როცა სავარაუდო მნაშავე ოთახში არ იმყოფება, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სადაც შესაძლებელია.

2. მსხვერპლიბავშვი ან ოჯახში ძალადობის თუ ქალის მიმართ ძალადობის მოწმე ბავშვი უნდა უზრუნველყონ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სპეციალური დამცავი ზომებით, გამომდინარე ბავშვის საუკეთესოინტერესებიდან.

ხლი 57 – იურიდიული დახმარება

არეებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლებიიურიდიული დახმარების უფლებით და უფასო რიდიული დახმარებით მათი შიდა კანონით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

ხლი 58 – საკანონმდებლო აქტი შეზღუდვაზე

